საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 2 აპრილი. 1920 წ.

ერთობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 293/2 № 13000

ფასი 3 მანეთი

ყოველ დღიურ 1 თვით 75 მანეთი, ცალკე — ერთეულან 3 მანეთი. განცხადების ფასი ნომრად ბევრჯერ პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 4 მან. ხანგრძლივობით განცხადება ნეკროლოგიური ზომისა 15X2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. [illegible] განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის მისამართი: გრიბოედოვის ქ. 4, [illegible] შენობ. 9—12-ამდე. ტელეფონი 16—82

№ 75 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 75

მწუხარე მშობლები ნოე და ინა, და ასმათი და ბებია ქრისტინე ჟორდანიები და მოხუცებული ნინა მამულაიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 3 აპრილს შაბათს ქ. ლანჩხუთში დანიშნულია წლის თავი უდროოდ დაკარგულის

ანდრეიკა ჟორდანიასი

საფლავზე იქნება გადახდილი პანაშვიდი შუადღის 12 ს. (2—1)

ობლად დარჩენილი შვილები: თინა და ელიოზი; სიკო და ბასო ცოლ-ძმებით შვილებით; კატო, ერმილე, შალიკო, ვანო, გრიშა, გოლინდუხა და ალექსანდრე მეუღლე ბაბინეთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 4 აპრილს (ახ. სტ.) სოფ. ბობოყვათის ეკლესიაში (გურია) დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველთა მშობლების, მეორენის შვილისა და სიძის დანარჩენების დაუვიწყარი დის და სიძის

იასონ ანდრიას ძე მოლარიშვილის და ლეო ელიაძის ასული მოლარიშვილის

სულის მოსახსენებლად. (უ 1—1)

ღრმა მწუხარებით, ცოლ-შვილი ილარიონ ივანეს ძე, პოლიკარპე და ივანე ილარიონის ძე რატიანები, ანასტასია ილარიონის ასული და მღ. რაჟდენ სიმონის ძე ჩირგვიშვილები, მარია ილარიონის ასული და პავლე კლემენტის ძე გოგორიშვილები და ნინა ამბაკოს ასული ჩუნეშვილიძე, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს, და ნაცნობებს, რომ შაბათს, 3 აპრილს (ახალი სტილით) (ზონი) სოფელ კონჭკათში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, პირველის დაუვიწყარი მეუღლისა, მეორენის და მესამენის საყვარელი დედის და სიდედრის და მეოთხესი აღმზრდელ ბებიისა

ვარდიკო კაციას ასული რატიანის

სულის მოსახსენებლად წირვის დას. წყ. დილ. 10 ს. (1131—3—3)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სტეფანე ოტიას ძე ფირცხალაძე, მამა მათე დავითის ძე და დედა ელენე ოტიას ასული გვიმრაძენი, შვილები: სილოვანი და არჩილი, რძლები: ეფემია და ნატაშა გვიმრაძეებისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი

ოლა მათეს ასული ფირცხალაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება (ბასეინის ქ. № 15) 3 აპრილს დილის 9 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. (5. 3—2)

ღრმად დამწუხრებულნი დედა ელისაბედ (ელიკო) შვილები: მარიამ, ლეონიდი, ემანუილ და ვიქტორი, ბიცოლა ნინო მელიტონის ასული შვილით მელქისედეკ კორძაიები, მამიდა ელისაბედ გიორგის ასული და ბესარიონ ტატარიძის ძე ლორთქიფანიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ 3 აპრილს (ახ. სტ.) დილით შაბათს 5 ს. სოფ. საქულიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მე 8 კლ. მოწაფის

გივის

სულის მოსახსენებლად. (1139 2—2)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ბიჭუ კუპრაშვილი, დედა მაცონა დადეშკელიანისა შვილებით, დედამთილი მინადორა კუპრაშვილისა შვილებით, ბიძა მერაბ და ბიცოლა პაშა დადეშკელიანები და მამიდა ცაბუ ჩიქოვანისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასისა და უსაყვარლესი

მარუსია (ვეილიეხი) ლევან დადეშკელიანის ასული კუპრაშვილისა

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება ორ აპრილს (ახ. სტ.) ნაშუადღევს 4 ს. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან, ქვემოთინების ქუჩა, დაასაფლავებენ [illegible] ეკლესიაზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.)1146 2—2)

გაუბედურებულნი და ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ეკატერინე და ძმა გიორგი დონჯაშვილები, ქმარი ანდრო და პატარა შვილი ვახტანგ პატრიაშვილები, დეიდები: ელენე ვაჩნაძისა, დატასო კოპლამაზაშვილისა, მამიდა ტასო ბიჭიაშვილისა, ბიძა საბა მესტიაშვილი; დეიდაშვილები: თამარა ვაჩნაძისა, მარო ვაჩნაძისა და ქეთო კოპლამაზაშვილი, დედამთილი მარიამ და მამამთილი მღვდელი სვიმონ პეტრიაშვილები, მაზლები: მაქსიმე და კირილე პეტრიაშვილები, ბიცოლა ოლა დონჯაშვილისა, ბიძაშვილი ვანო მაისურაძისა, ნათლის დედა მარიამ ყურულისა და მართა ვაჩნაძისა, ამხანაგები ნინა და ეგრანტი ნიკვაძეები და სუსანა მამულოვი, აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ ამხანაგთ, რომ კვირას, 4 აპრილს, დ. ლაგოდეხის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი 6 თვის შესრულების გამო ძვირფას

ნადია (ნადეჟდა) იოსების ასული დონჯაშვილი—პეტრიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. წირვა შესდგება დილის 10 ს. დ. ლაგოდეხის ეკლესიაში და პანაშვიდი საფლავზე იმავე ეკლესიის გალავანში დილის 12 ს. სადაც განსვენებულის გვამი სასაფლაოდან იქნება გადმოსვენებული. (ფ. 1—1)

დ. ლაგოდეხის ქართული სცენის მოყვარეთა წრის გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და თანამშრომლებს, რომ კვირას, 4 აპრილს, დ. ლაგოდეხის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი 6 თვის გარდაცვალებიდან შესრულების გამო წრის დამაარსებლის, გამგეობის წევრის და საუკეთესო სცენის მოყვარის ძვირფას და დაუვიწყარ

ნადია დონჯაშვილი—პეტრიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. წირვა დანიშნულია დ. ლაგოდეხის ეკლესიაში დილის 10 საათზე და პანაშვიდი საფლავზე იმავე ეკლესიის გალავანში დილის 12 საათზე. (ფ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ესმა, მამა დათა, ძმები კაპიტონ და კლიმენტი, დები მარიამი და პასკა, რძალი ანიკო კალანდაძეები, სიძე სილოვან კოპაძე, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 22 მარტს (ძვ. სტ.) ქალაქ ლანჩხუთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგული 25 წლის

შალვას

ხსოვნის აღსანიშნავად. (1116 3—1)

გულდათუთქული მეუღლე ლიუდმილა ივლიანეს ასული, ძმა ივანე კონსტანტინეს ძე და ძმისწულები: კონსტანტინე, სარდიონ და ნიდია თოფურიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 27 მარტს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე თოფურიძე

დაკრძალვა მოხდება ს. სეფიეთში 31 მარტს. (ფ. 1—1)

მოიკითხეთ საუკეთესო ხარისხის

აბრეშუმის ჭიის თესლი

შემოწმებული თბილისის საბრეშუმო სადგურის მიერ.

(ყვითელი, ფრანგული ჯიშის)

„დ. დ. დაქანოზიშვილის“ ფირმისა.

ლუშეთის ქუჩა, № 22, ბინა მექანარიშვილისა. (1129 5—3)

ბათომის ქართველთა ეროვნული საბჭო

სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის თემების გამგეობებს, თემებისა და რკინის გზის ადმინისტრაციას თუ [illegible] იმ პირთ, ვისაც ეროვნული საბჭოს მოწმობებით თემიდან გამოაქვთ სანოვაგე ბათომში შესატანათ. და აცნობონ საბჭოს ვინაობა იმათი, რომლებიც თემებისა და ადმინისტრაციის ნებით ბოროტად სარგებლობენ ხსენებული მოწმობებით. საბჭოს მისამართი ქალ. ბათომი მარინეს ქუჩა № 48. (1160—16—1)

რეკვიზიციის გამო

სასწრაფოდ იყიდება სასტუმრო

„სინათლის“

ავეჯეულობა

35 ოთახის მთელი მოწყობილობა.

შეიძლება ნახვა ყოველ დღე.

პასაჟი „კრონშე“, სახლი ბაქრაძისა, № 7.

(1158—1—1)

ექიმი ბ. ი. ოქრომჭარიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი.

(ნ.—თ.)

სასურველი გამარჯვება

ბოლშევიკური პარტია დიქტატურის დროს არ განირჩეოდა ერთსულოვნებით. იყო მემარჯვენე და მემარცხენე ფრთა. უთანხმოება ხშირათ ისე მწვავდებოდა, რომ ყველას ეგონა, სადაცაა სამუდამოთ მოშორდებიან ერთმანერთს. აკავშირებდათ რეაქციონური ფრონტი. აერთებდათ დენიკინი-კოლჩაკი, იუდენიჩი, საზოგადოთ კონტრ-რევოლიუციის შიში.

მემარჯვენე ფრთას მეთაურობდა და მეთაურობს ლენინი. ის არასოდეს არ იყო მომხრე ბურჟუაზიის „დარჩობის“, პირიქით დიდი ხანია ამტკიცებს, რომ საწარმოო ძალების განვითარებლად საჭიროა „ბურჟუაზიული“ ცოდნა-გამოცდილება, საჭიროა მოხმარება იმ მემკვიდრეობის, რომელიც დაგვიტოვა წარსულმა წეს-წყობილებამ. ლენინმა დაჰკარგა „სოციალური“ რევოლიუციის იმედი. დასავლეთის მუშათა კლასმა ვერ გაამართლა მისი წინანდელი ფიქრი. ის ამიტომ ცდილობდა უკან დახევას და უფრო დემოკრატიულ ხაზზე გადასვლას. ვინც თვალ-ყურს ადევნებდა მის სიტყვებს, მოხსენებებს, ის შეატყობდა, რომ ბოლშევიკების მამამთავარი ბევრში არ ეთანხმება თავის შეგირდებს. ამას მოწმობს, სხვათა შორის, მისი უკანასკნელი სიტყვაც.

ლენინი უფრო ევროპიელია სხვებთან შედარებით. იცის, რომ სოციალისტური რევოლიუცია არ მოხდება მარტო წითელი რაზმების ხიშტებით, და წითელი ტერორით.—თავზარდამცემითი ზომებით.

სხვანაირათ აზროვნობს „მემარცხენე“ ფრთა. ის აღმოსავლეთის აჯანყებით ფიქრობდა ევროპაში სოციალისტური ცვლილების ახდენას. დაჩაგრულების ბრძოლა აღმოსავლეთისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ერთად ერთ საშუალებათ მიაჩნდა ბურჟუაზიული ევროპის დასამარცხებლათ. აქედან უნდა დაეცეთ თავზარი ინგლისის, საფრანგეთის და ევროპის კაპიტალისტებს. წითელი რაზმი განთავისუფლებს მუშათა კლასს ხმლით.—დასავლეთის პროლეტარიატმა ამ ჩვენი რაზმისგან უნდა ისწავლოს რევოლიუციონური საქმიანობა,—ამბობდნენ ხოლმე მემარცხენე ბოლშევიკები.

ლენინის მეტყველებაში ჩანდა, რომ მისი დაწყებული საქმე დამარცხებულია.—თუ უკან დახევა დაგვჭირდა, მაშინ ისევ დამფუძნებელ კრებას უნდა დავუბრუნდეთ, საარჩევნო უფლებებით ვისარგებლოთ, დემოკრატიული გზით ვიაროთო. ლენინის მოწინააღმდეგე ამხანაგები კი უფრო „რევოლიუციონურათ“ აყენებდნენ კითხვას. ან სიკვდილი ან გამარჯვება, ან მთელი ქვეყანა უნდა წავიდეს რუსეთის გზით, ან რუსეთი უფსკრულში ჩავარდება და მთელ ქვეყანასაც თან ჩაიყოლებსო.

ეს შინაური უთანხმოება კიდევ უფრო გამოიჩენს თავს, როცა საზოგადო მტერი აღარ ეყოლებათ, როცა ძველი დროის სარდლები სულ დაიფანტებიან. მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელი იყო და არის ტროცკი. წითელი რაზმის მეთაური გაცეცხლებულია წითელ რაზმული აზროვნებით. რევოლიუციის ვერ ხედავდა თავ-ზარდამცემის იქით. დიდი მეოცნებე იყო. ფიქრობდა აქ დავამარცხებთ კონტრ-რევოლიუციონურ ჯარებს, მერე საზღვრებზე გადავალთ, იქ დავამარცხებთ ჩვენ მართვა გამგეობას, შევალთ აღმოსავლეთის ქვეყნებში, იქ ევროპის წინააღმდეგ ხალხს ავაჯანყებთ და ასე გარედან დავამხობთ იმპერიალისტების სამეფოსო.

ეს დავა, ასე თუ ისე, უნდა გადაჭრილიყო აქ, შავი ზღვის პირას. აქ არის აღმოსავლეთში გასასვლელი კარები. აქ თანამედროვე დასავლეთი უნდა შეებრძოლოს წითელ არმიას თავის ყოფნა არ ყოფნისათვის. აქ ინგლის საფრანგეთის სამხედრო ძალები ვერ გამოიჩენენ იმ გულგრილობას, რომელსაც იჩენდნენ დღემდის, ამ სამოქალაქო ომის დროს. აზიაში ევროპიული კაპიტალისტების სამდიდრე. ადვილია იქაური შევიწროებული კლასის აჯანყება და გამოყვანა თავზე ხელ აღებული გზით. ადვილია იქ ანარქიის გამოწვევა. „მემარცხენე“ ბოლშევიკებმა კარგათ იციან, რომ ეს ანარქია კარგს არაფერს მოგვიტანს, მაგრამ ისინი ფიქრობენ,—ჩვენს შემდეგ წარღვნაც მოხდეს, რას დავეძებთო.

დემოკრატია ვერ ივლის ამ გზით. ის უფრო ევროპიანდება, ვიდრე აზიანდება. თუ დასავლეთის დემოკრატია გაიმარჯვებს, მაშინ აღმოსავლეთის მშრომელი ხალხიც განთავისუფლდება. თუ აღმოსავლეთში ანარქიული მიწისძვრა დაიწყო, მაშინ ვერც იქაური ხალხი განთავისუფლდება, დასავლეთის დემოკრატიაც დაიღუპება. აქ, შავი ზღვის ნაპირებზე დემოკრატიამ უნდა ისურვოს „მემარჯვენე ფრთის“ გამარჯვება. ევროპა, როგორიც უნდა იყოს ის დღეს, უკეთესია, ვიდრე „მემარცხენე“ ფრთის ოცნებით წარმოდგენილი აზია.

მხედველობაში გვაქვს ორი პატარა ფაქტი. ლენინის უკანასკნელი სიტყვა, რომელიც ამ დღეებში რადიოთი იყო გადმოცემული და ტროცკის „წითელი“ რაზმიდან გასვლა. არ ვიცით, რამდენათ მართალია ეს მეორე ამბავი. გვგონია, რომ ის გავს სინამდვილეს. იმ დროს, როცა საბჭოთა მთავრობა ფიქრობს ევროპასთან ზავის ჩამოგდებას, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის პოლიტიკას აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი.

ზავი ევროპასთან, ეს საუკეთესო საქმეა მთელ ბოლშევიკურ საქმიანობაში. ეს, მართალია, ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც აქამდის უქადაგნიათ, მაგრამ მომავლისათვის უკეთესია ამნაირი თავის უარყოფა. რეაქციონური ფრონტის შემდეგ ბოლშევიკებს საქმე ექნებათ თავის პოლიტიკურ ფრონტთან. რევოლიუციისათვის—დემოკრატიისათვის მეტათ სასარგებლო იქნება, თუ ამ ფრონტზე ისინი დაამარცხებენ თავიანთ თავს, მთელი თავის ორი წლის წარსულს. მაშინ ჩვენ ბოლშევიკებს ტაშს დაუკრავთ და ამ გამარჯვებას მივულოცავთ.

ჩვენი ერობა

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სახელმწიფოს აღმშენებლობით საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ერობას აქვს. ერობა ნამდვილი საფუძველია სახელმწიფოსი. მისი სისუსტე სახელმწიფოს სისუსტეს მოასწავებს, ხოლო მისი სიძლიერე სახელმწიფოს სიძლიერეს. ამიტომ იყო, რომ ერობა თავიდანვე ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. ძველი წესწყობილების დროს ერობაზე მხოლოდ ოცნებდნენ და ლაპარაკობდნენ. ეხლა კი ერობა ფაქტად იქცა. დღეს მთელი საქართველო მოფენილია საერობო თვითმართველობებით. ისეთ მივარდნილ კუთხეებშიც, სადაც წინეთ ხსენება არ იყო მასწავლებლების და ექიმისა, დღეს ერთიც და მეორეც ხალხს მოევლინა. სოფელი იღვიძებს, ხალხი თან და თან თვითმოქმედებას ეწევა. ჩვენში პირველად სამაზრო ერობა მოეწყო, შემდეგ კი სათემო თვითმართველობა. დღეს მთელი მაზრის ცხოვრება ფაქტიურად სამაზრო ერობის ხელშია. ადმინისტრაცია, სკოლა, სასამართლო, გზები, ტელეფონი, ყველაფერი ეს ერობას ჩაბარდა. ყველას მოეხსენება, რა საშინელ სურათს წარმოადგენდა ჩვენში მაზრის ცხოვრება ამ 1 წლის წინათ. მაზრის ადმინისტრაცია სავსე იყო საეჭვო ელემენტებით, სკოლა და სასამართლო ფაქტიურად არ არსებობდა. ერთი სიტყვით მაზრა ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული და ყოველ გამვლელს შეეძლო ხალხის გაძარცვა ანარქიის ცეცხლში. თუ ყველაფერ ამას შევადარებთ დღევანდელ სურათს, ჩვენ დავინახავთ, რომ წარსულსა და აწმყოს შორის დიდი განსხვავებაა. ადმინისტრაცია გაწმინდა მავნე ელემენტებისგან და გაჯანსაღდა, ძველი სკოლები აღადგინა და ზოგან ახალიც გაიხსნა, სასამართლო უკვე მოეწყო, ერობა ბევრგან გზების შეკეთებასაც შეუდგა. მაზრა თანდათანობით დგება წესიერების კალაპოტში და იწყებს ნორმალურ ცხოვრებას. რასაკვირველია, მაზრაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და სამუშაო, მაგრამ ისიც გასაკვირველია, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში გაკეთდა, თუ მხედველობაში მივიღებთ დღევანდელ ცხოვრების სასტიკ პირობებს. ერობას ჩვენში თავიდანვე უდიდესი დაბრკოლება გადაეღობა წინ. ეს დაბრკოლება იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ ერობას დღემდის არა აქვს მუდმივი შემოსავლის წყარო. იმ დროს, როდესაც ერობის გასავალი უდრის მილიონებს, მისი შემოსავალი, და ისიც შემთხვევითი, ათასობით ისაზღვრება. ასეთი მდგომარეობა ჰქმნის მუდმივ დეფიციტს, რომელიც ძალზე აფერხებს ერობის დიდებით მუშაობას. ამიტომ საჭიროა, რომ დაჩქარებით შემუშავდეს საერობო [illegible] უფლება, სადაც განსაზღვრული იქნება ერობათა საბიუჯეტო უფლებანი. მეორე დაბრკოლება იმაში მდგომარეობდა, რომ ერობებს თავიდანვე მოუხდათ ხალხთან გადასახადებზე ლაპარაკი. მკითხველს მოეხსენება, რომ თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონისა შემოღებულ იქნა ერთდროული გადასახადი მიწაზე, რომლის რაოდენობა უდრის დაახლოვებით 70 მილიონ მანეთს. ამ კანონის ცხოვრებაში გამტარებელი უნდა ყოფილიყო ერობა, როგორც ხალხთან ახლო მდგომი ორგანიზაცია. ნორმალურ დროში სახელმწიფო გადასახადების აკრება, რასაკვირველია, ადვილი საქმეა, მაგრამ ისეთ გარდამავალ ხანაში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, გადასახადების აკრება ხალხში დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ძველმა წესწყობილებამ ისე დახცა სახელმწიფოს ავტორიტეტი ხალხში, რომ მას ხშირად ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოსიც აღარა სჯერა. ამ მხრივ ერობებს დასჭირდათ დიდი მუშაობა, რომ ხალხს შეეგნო, თუ რა განსხვავებაა ძველსა და ახალს შორის. ამ სტრიქონების დამწერს რამდენჯერმე მოუხდა ერობის სახელით სოფლათ გასვლა და ბრძოლა იმ საშინელ პროვოკაციასთან, რომელსაც ხალხში ეწეოდნენ რესპუბლიკის მტრები ამ გადასახადების გარშემო. ერობამ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე და შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეს გადასახადების აკრების საქმე უზრუნველყოფილია. თითქმის ყველა მაზრაში წესიერად სწარმოებს ერთდროული გადასახადის შემოტანა სახელმწიფო ხაზინაში.

ამ გადასახადების აკრების დროს დიდი დახმარება გაუწიეს ერობებს თემებმა. თემი წვრილი საერობო ერთეულია, რომელიც უფრო ახლო დგას ხალხთან. თემს სოფელში ბევრი რამის გაკეთება შეუძლიან. ამისათვის საჭიროა მხოლოდ მან ნდობა და ავტორიტეტი მოიპოვოს ხალხში. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ბევრი თემი მოიკოჭლებს. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ჩვენი სოფელი ინტელიგენციით ძალზე ღარიბია. როგორც მკითხველს მოეხსენება დღევანდელი თემი, გარდა თბილისის მაზრისა, სოფლის საზოგადოების ფარგლებში მუშაობს. არის ისეთი მაგალითები, როდესაც სოფლის საზოგადოებაში მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, თითებზე ჩამოსათვლელია წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, თემს გაუძნელდება მუშაობა. ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ თემის საზღვრები გაფართოვდეს. პირიქით, სოფლის საზოგადოება ჩვენ მიგვაჩნია თემის ისე ვიწრო, ბუნებრივ ფარგლად. საჭიროა მხოლოდ, რომ თემის მართვა-გამგეობა გამარტივდეს. დღეს თემის გამგეობა უმეტეს შემთხვევაში სამი ჯამაგირიანი წევრისაგან შესდგება. გარდა ამისა გამგეობას ჰყავს დაქირავებული მდივანი და მოლარე. ჩვენის აზრით ყველაფერი ეს იწვევს დიდ ხარჯებს და ართულებს საქმეს. თემის საქმეების გასაძღოლად საკმარისია გამგეობის ერთი წევრი და მისი მდივანი. ამით, რასაკვირველია, არ ირღვევა კოლეგიალური პრინციპი. გამგეობის წევრთან იქნება მუდმივი კოლეგია ხმოსნებისაგან არჩეული, რომელთანაც ერთად გამოუშვებით თათბირი მისთვის სავალდებულო იქნება. თემის მუშაობას დიდად ძალზე აფერხებს მისი უფლებრივი მდგომარეობის გაურკვევლობა. თემმა არ იცის, რა გააკეთოს. თემი ხშირათ ერევა ისეთ საქმეებში, რაც მისი გასაკეთებელი არ არის, და არ აკეთებს იმას, რაც საჭიროა. ამიტომ ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო ასეთ გაურკვევლობას. საჭიროა დროზე შემუშავდეს დებულება, რომელიც განსაზღვრავს თემის კომპეტენციას. ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ ერობას ხელს უშლის საკუთარი ბიუჯეტის უქონლობა. ეს გარემოება ყველაზე ძალიან თემებზე მოქმედებს. თემი ამ მხრივ პირდაპირ უმწეო მდგომარეობაშია და ხშირად იძულებ

დღეს

მოკავშირენი წინააღმდეგნი არიან რურის ოლქის ოკუპაციისა. მოლაპარაკება გერმანიის მთავრობასა და მუშების წარმომადგენლებს შორის გრძელდება.

გერმანული გაზეთების გადმოცემით რუსეთის ბოლშევიკებს კავშირი ჰქონიათ კაპთან ებერტ-ბაუერის მთავრობის ჩამოსაგდებათ.

ელჩთა კონფერენციამ დაასრულა უნგრეთის საზავო პირობების განხილვა.

---

31 მარტს პარიზს გაემგზავრა საქართველოს ეკონომიური მისსია კ. კანდელაკის მეთაურობით.

ადერბეიჯანის მთავრობის ოფიციალური ცნობით ყარაბაღში სომხებსა და თათრებს შორის ბრძოლა გრძელდება.

[illegible] ისეთი ნაბიჯები, რომლებსაც უფლებრივ სახელმწიფოში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ვიმეორებთ: საჭიროა რაც შეიძლება მალე შემუშავდეს და გატარდეს კანონმდებლობითი გზით საერობო დებულება, სადაც ჩამოყალიბებული იქნება ერობათა საბიუჯეტო უფლებანი.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ერობათა „ახალი კონსტრუქციის" შესახებ. ამას წინეთ გაზეთებში იყო მოთავსებული ცნობა, რომ ერობათა მოღვაწეთა წრეებში გადაწყვეტილია ახალი „საერობო კონსტრუქცია" შემდეგი სახით: 1) სოფლის თვითმართველობა. 2) რაიონი და 3) კავშირი-რაიონებისა. ამ გეგმის მიხედვით უნდა გაუქმდეს სამაზრო ერობა. მე არ ვიცი რომელ „საერობო წრეებში" იყო ეს გადაწყვეტილი, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ გეგმის გატარება ცხოვრებაში დიდი შეუსაბამობა იქნებოდა დღევანდელ პირობებში. სამაზრო ერობის მოსპობა დღეს ნიშნავს მთელი საერობო საქმის დასამარებას ჩვენში. თემი თავის თავს ვერ გაუძღვება, თუ მას გვერდით არა ჰყავს ისეთი ძლიერი დამხმარე, როგორიც არის მაზრის ერობა. რაიონი ამ მხრივ სუსტია, კავშირი შორს იქნება. სამაზრო ერობის მოსპობით სახელმწიფოს გამოეცლება საუკეთესო ბურჯი და შემაერთებელი ხიდი ცენტრსა და პერიფერიებს შორის. სამაზრო ერობის გაუქმება, თუ ეს საჭირო იქნება, ბუნებრივად უნდა მოხდეს. როდესაც ჩვენი თემები კულტურული ძალებით გამდიდრდება და მას გაუჩნდება დამხმარე [illegible], მაშინ ეს საკითხიც თავის და თავად გადაწყდება. ამ საკითხისა საჭიროა დრო.

დ. ონიაშვილი.

ადერბეიჯანის ხალხის საყურადღებოთ

ამ სათაურით ბათუმის „სამუსლიმანო საქართველოს" 30 მარტის ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი, რომელიც შემოკლებით მოგვყავს.

ჩვენს ოლქს კვლავ შეესიენ აგენტ-პროვოკატორები [illegible] ჩვენი კარე პოლიტიკოსები [illegible], ბათუმში და ქალაქში [illegible] დიდი მონაწილეობით [illegible] ჩარევით, [illegible], ადერბეიჯანის ბეგლარბეგების? აგენტებს კრებებისათვის [illegible] იმ რეზოლიუციის პროექტი, რომელიც შემდეგ ჩვენ [illegible].

ბათუმში და ქალაქში ქობულეთიდან მოსულ [illegible] მოსყიდული პირები; მოლაპარაკებით ხალხისათვის: არ შეუერთდეთ საქართველოს, ჩვენ მოგვითხოვეთ ცალკე [illegible] სახელმწიფოს დაარსება. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, აჭარლებმა [illegible] მეთაურობით უკვე გამოაცხადეს, რომ აჭარისტანი ცალკე სახელმწიფოთ უნდა გამოცხადდეს.

ადერბეიჯანის აგენტებიც ამგვარად იქცევიან. ისინი იციან, რომ ოსმალეთს უკვე არ [illegible]; იციან, რომ [illegible] ჯარებით არის დაკავებული; იციან, რომ ოსმალეთის [illegible] ოლქი და სხვა მხარეს მიმართეს: [illegible] ინტერესებზე, საქართველოთან შეერთებაზე. იციან, რომ ისეთ სახელმწიფოს [illegible], მაგრამ [illegible] თავისი გზიდან.

[illegible] „საქართველოს [illegible]" ადერბეიჯანი. [illegible], [illegible] და სხვები [illegible] პოლიტიკოსებს, [illegible] ოლქში [illegible] აჭარისტანის [illegible], რომ ის [illegible] ოლქი, ადერბეიჯანის [illegible].

[illegible] ის იცის [illegible].

[illegible], რომ ადერბეიჯანის [illegible] საქართველო-

ში საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან. ახლაც, როცა ჩრდილოეთიდან მტერი კარებზე მოადგა ადერბეიჯანს, როცა მას, ესაჭიროება ერთგული მოკავშირე, ის ბათუმის ოლქში დანას ლესავს საქართველოს ზურგში ჩასაცემად.

ასეთია ეს ხელმძღვანელები. მათი შეცვლა ყოველად შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ადერბეიჯანის ხალხი. ნუ თუ ვერ ხედავს ეს ხალხი, რომ მისი ხელმძღვანელები მათი მოქმედებით ღუპავენ არა მარტო საქართველოს, არამედ თვით ადერბეიჯანის ხალხს.

ჩვენ მოუწოდებთ ადერბეიჯანელებს ხმა ამოიღონ მათი [illegible] მოქმედების შესახებ.

საქართველოს წინააღმდეგ [illegible] დაღუპავს თვით ადერბეიჯანსაც. საქართველოს სახალხო ინტერესების ფეხქვეშ გათელვა, ეს თვით ადერბეიჯანის სახალხო ინტერესების ფეხქვეშ გათელვაა.

ნუ თუ ეს არ ესმის ადერბეიჯანის ხალხს, და თუ ესმის, რათ არ იღებს ის ხმას ადერბეიჯანის აქაური აგენტების მოქმედების შესახებ. დროა არის ადერბეიჯანის ხალხმა თვალი გაახილოს და ავანტიურისტულ პოლიტიკას საზღვარი დაუდოს.

საქართველოს არ დაეკარგება ბათუმის ოლქი, არ მოხდება, რომ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს ჩამოაშორონ. მაგრამ ადერბეიჯანის მთავრობის პოლიტიკით მოხდება ის, რომ ადერბეიჯანს ჩამოშორდება საქართველო, როგორც მოკავშირე, ადერბეიჯანი დარჩება განმარტოებული და მტერში გამოკეტილი და მაშინ დადგება დამოუკიდებელი ადერბეიჯანის დასასრული.

შეაგნოს ეს ადერბეიჯანის ხალხმა და უბრძანოს მის მთავრობას, რომ მან თავი ანებოს ჩვენ ოლქში საქართველოს საწინააღმდეგო ინტრიგებს. სანამ გვიან არაა, ადერბეიჯანის ხალხმა ეს უნდა შეასრულოს.

დეპეშები

(საქართველოს დემოკრატიის სააგენტო)

1 აპრილი

ბოლშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 31 მარტი. დასავლეთის ფრონტი. ოვრუჩ-ლიტინ ჩვენს მხარეზე მდგომარეობა არ შეცვლილა. პოდოლიის კამენეცის რაიონში ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა. კავკასიის ფრონტი. წითელმა პარტიზანებმა [illegible]. 30 მარტს ჩვენმა ჯარმა პეტროვსკი [illegible] აღმოსავლეთის ფრონტი. [illegible] რაიონში ჩრდილოეთ და აღმოსავლეთით 40 ვერსზე ჩვენმა ჯარმა [illegible] დაიპყრა.

ამერიკული ცნობები.

გერმანიაში.

ესსენიდან იუწყებიან: ორმა [illegible] რამდენიმე [illegible], რომლებიც ქალაქის თავზე დაფრინავდნენ, სროლა აუტეხა, მაგრამ გაიგეს, რომ ისინი უვნებლათ გადარჩნენ. [illegible] რომ მეამბოხეები კომუნისტებით უკმაყოფილონი არიან. ხალხით სავსე ქუჩებში წითელი გვარდიის მიმართ [illegible] ისმოდა „ზოგი [illegible]". დიუსსელდორფში, სადაც კომუნისტებმა ბურგომისტრი დაიპატიმრეს, ძველი მთავრობის აღდგენა მოითხოვეს.

ოსმალეთის გარშემო.

კონსტანტინოპოლში ფიქრობენ, რომ საერთაშორისო [illegible] ოსმალეთის ევროპიდან განდევნა ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ევროპის ოსმალეთიდან განდევნა. [illegible] გამოჩენილმა ნეიტრალურმა პირმა შენიშნა დღეს: ქრისტიანული ქვეყნის დიდი ნაწილი, რომელიც ოსმალეთის საქმეებს ვერ იცნობს, ალბათ ფიქრობს, რომ მოწყვეტილებები ბალკანეთის მთელი ტერიტორიული და უზრუნველყოფილი იქნება საუკეთესოთ ამ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი განდევნილი იქნება კონსტანტინოპოლიდან. სურვილი შეიძლება ადვილათ განხორციელდეს, მაგრამ თუ ამის ოსმალეთი განაწილებული იქნება ბერძნებს, იტალიელებს, ფრანგებსა და ინგლისელთა შორის, როგორც ეს საზავო ხელშეკრულებით არის წინადადებული, მაშინ ყველა თურქეთა ბალკანიზაცია მოხდება. სტამბოლში დიდი დავაა იმის შესახებ, გრძელდება თუ არა დროებითი ზავი, თუ ანტანტის სახელმწიფოები ოსმალეთთან ეხლა საომარ მდგომარეობაში იმყოფება. ანტანტა ხელს უწყობს იმ ფიქრს, რომ იგი არ არსებობს. მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ ომი კიდევ არის, ან და იგი გამოცხადებული იქნება ამ და დღეში, რადგან ლონდონიდან მოსული ცნობა ბერძნების მიერ ოსმალთა დამონავებისა ოსმალეთის მიერ ომის გამოცხადებათ ჩაითვლება. თურქები თითქმის ყველგან აღფრთოვანებით შეხვდენ ბერძნებთან ომის შესაძლებლობის შესახებ გავრცელებულ ამბავს, რადგანაც ისინი ელიან შემთხვევას, რომ სამაგიერო გადაუხადონ ბერძნებს სმირნაში ოსმალებისადმი ცუდი მოპყრობისათვის.

მეფრინავი ქალი.

ლონდონიდან იუწყებიან: პოლინა რუდოლფმა მიიღო მოწმობა ავიატორ-პილოტისა. ეს პირველი შვეიცარიელი მეფრინავი ქალია.

კაპი, ტროცკი და ლენინი.

სამხრეთ გერმანიის გაზეთები სწერენ კაპის, ტროცკისა და ლენინის შეთქმულების შესახებ იმ მიზნით, რომ გერმანიაში გადატრიალებით ბოლშევიზმი და ბერლინში ხელთ ეგდოთ ძალა-უფლება. სახელმწიფო გადატრიალებამდის ერთი კვირით ადრე მოხდა [illegible] კრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო სამმა ბოლშევიკმა აგიტატორმა, რომლებიც საგანგებოთ იყვნენ მოსკოვიდან გამოგზავნილნი. რუსებმა სთხოვეს კაპს, რომ მას ძალა უნდა შეენარჩუნებია იმდენ ხანს, როდესაც რუსები პოლონელების დამარცხების შემდეგ ბერლინში შევიდოდნენ.

ფრანგული პრესის ცნობები.

რურის ოკუპაციის გარშემო.

საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობათა მოლაპარაკების გამო რურის ოლქის შესახებ ჰავასის სააგენტო გაზეთებს შემდეგ ცნობებს აწვდის: გერმანიის საქმეთა რწმუნებული მაიერი სამშაბათს გაემგზავრა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მან მიიტანა გერმანიის მთავრობის დეკლარაცია. ამ დეკლარაციის გარშემო მან ფორმალური შენიშვნები [illegible]. სხვათა შორის მან განაცხადა, რომ მიღებული ცნობების თანახმად საჭირო არის, რომ რურის ოლქის ოკუპაცია ახლავე აუცილებლობას წარმოადგენს. მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელია რურის ხეობის ოკუპაცია და საზავო ხელშეკრულების 44 მუხლის სათანადო დარღვევა, თუ გერმანიის მთავრობა გარანტიებს მოგვცემს. „პტი პარიზიენი" არკვევს ამ ნოტას. გერმანიის ახალი კანცლერის [illegible] ბერლინის მთავრობის მოქმედება რურში შეესაბამება.

საფრანგეთმა ურთი განაცხადა [illegible] ქალაქები [illegible]. ფრანგები და [illegible] ჩვენი ცნობით საქმე სხვანაირად არის. ოკუპაციის [illegible] ინიციატივა, [illegible] მიერ [illegible] ქალაქების მიმართ, რომლებიც კიდევ უნდა მოგვემზადოთ მეორე ქალაქი შემდეგ იმ პირობით, რომ, თუ გაის ზღვრულ დროში გერმანიის მიერ ნეიტრალურ ზონაში შეყვანილი ჯარები არ იქნება გაყვანილი, საფრანგეთი ისარგებლებს თავის უფლებით და ამ ქალაქებს დაიჭერს—ოკუპაციის ლეგით მიიღებს. მთავრობამ ამ წინადადებაზე უპასუხა, რომ პრინციპიალურათ იგი წინააღმდეგი არ არის ვადის გადიდებისა, იმ შემთხვევაში, თუ ეს ვადა არ გაგრძელდება. ეს ყოველ შემთხვევაში არ არის, რაც მიიღებს სურდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საქმე იყო არა ორისა და სამ კვირაზე, არამედ რაიმე განსაზღვრულ დროზე, რის გამოც მოლაპარაკებანი შეწყდა.

საფრანგეთის მთავრობის ცნობის თანახმად რურის ოლქში სრულიადაც არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ იქ ჯარი იყოს შეყვანილი, როგორც ამას განხორციელებას გერმანიის მთავრობა ფიქრობდა. ნამდვილად მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. ბრძოლა თითქმის ყველგან შესწყდა. ორივე მხარის მოლაპარაკება დასრულდა მუშათა პარტიის ბერლინის მიერ ულტიმატუმის მიღებით. ამგვარ პირობებში შეიარაღებული ძალების შეყვანა მხოლოდ უბედურების გამოიწვევს. ყოველ შემთხვევაში, 1919 წ. 8 აგვისტოს კონვენციის ძალა აქვს მხოლოდ სამი თვის განმავლობაში სახავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ე. ი. ვადა 10 აპრილს თავდება. ამ დროისთვის რურის ოლქში შეყვანილი ყველა ჯარი უნდა იქნეს უკან გამოწვეული.

[illegible]

პოლონეთში მყოფ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებს წინადადება მისცეს კონსერვატიულ [illegible] კაბინეტს, რომ ის პასუხისმგებელია იმ შემთხვევაში, თუ [illegible] განაგრძობს ინტრიგებს, [illegible] გერმანიაში გაიქცევა.

ელჩთა კონფერენცია.

ელჩთა კონფერენციამ, ბერლინში მყოფ მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის გენერალ ნოლეს მოხსენება გერმანიის საერთო მდგომარეობის შესახებ. შემდეგ კი იხილავდა უნგრეთის დელეგაციის საზავო პირობებზე შენიშვნებს, რომელიც უკვე დასრულებულია. უნგრეთის დელეგაციის წევრთა უმეტესობა უნგრეთში უკვე გაემგზავრა.

დანიის კაბინეტი.

დანიის მეფემ საქმიანი კაბინეტის შედგენა დაავალა ლიბეს, რომელიც რეიხსტაგის ახალ არჩევნებს მოამზადებს.

ბაქო

ყარაბაღის გარშემო.

(ადერბეიჯანის მთავრობის ოფიციალური ცნობა)

ასკერანთან ჩვენ ვიმარჯვებთ. შუშასთან და ხანკენდთან ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს სომხების თავდასხმები. ჩვენსკენ გადმოსულ პირების ცნობით სომეხთა თავდამსხმელ შეიარაღებულ რაზმებში იმყოფებიან სომეხი ოფიცრები ჯაოისკაცები. („ადერბეიჯანი")

გაზ. „ადერბეიჯანის" აზრი ყარაბაღის ამბების შესახებ. გაზეთი მოწინავე წერილში ეხება ყარაბაღის ამბებს და სხვათა შორის, სწერს: „ჩვენთვის აშკარაა, რომ დღევანდელი ამბები გადაჭრით მოითხოვს ჩვენგან თავდაცვითი პოზიცია დავიკავოთ და დავხუროთ ყარაბაღის კარები მტერი კვლებით, რომელშიაც ვერ უნდა გაატარონ ეგზარქოს სიძულვილის ნაცადი ფარიდმა— ზმალმა და ინტრიგამ". ძალის დაპირისპირება ყარაბაღში—ეს დღევანდელი დღის მოთხოვნილებაა რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ მშვიდობიანობაზე. რამდენადაც გულშეზარავი არ იყოს ის ექსცესები, რაც საბედისწერო აზრდილით აქვს მოვლენებს ბული ამიერ-კავკასიას,—ეს ეფრავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს, ხანამ თვით ცხოვრება არ დაამარცხებს ღეშნაკების სისხლით მოსვრილ სახელმწიფოებრივ გეგმებს.

წერილს გაზეთი შემდეგი სიტყვებით ათავებს: ყოველგვარი პასუხისმგებლობა იმ შედეგებისათვის, რაც ამ სამწუხარო მდგომარეობას მოყვება, თავს დაატყდება ყარსის ჯალათებს და ყარაბაღის ინტრიგანებს. საქმის მიუდგომელი გამოძიება გვარჩენებს, რომ მათ იღებათ ბრალი უდანაშაულო სისხლის ღვრაში; რომ მათ ხელით, მათი ნება, მათი ფული მეგობრობით კულტურულ ქვეყანს, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა და საკუთარი ხალხის წინაშე კიდევება მძიმე მისის სისხლისაგან დაცლის საზიზღარი საქმე".

ახალი ამბები

◆ დღეს საღამოს ხრულ 6 საათზე შედგება ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ ს.-დ. მ. პ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი აცხადებს, რომ ყოველ ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე დანიშნულია საკონტროლო კომისიის სხდომა თუ გინდ იმ შემთხვევაშიც, როცა სხდომა არ იქნება გამოცხადებული პარტიულ ორგანოში.

◆ პარკის ფასი მარსელში. საქართველოს დემოკრატიის სააგენტომ 9 მარტის თარიღით მარსელიდან შემდეგი ცნობა მიიღო: „მას შემდეგ, რაც „მესაჯერი მარიტიმ" და „პაკე" საზოგადოებების გემებმა დაიწყეს მიმოსვლა მარსელსა და ბათუმს შორის, ლიონისა და მარსელის აბრეშუმის მქსოველთა მეპარნებები ელიან საქართველოდან მზრალი პარკის შემოტანას მარსელში.

მარსელის ბირჟაზე უკვე დაიწყეს საქართველოს პარკის კოტიროვკა; თუმცა ეს კოტიროვკა თითქმის ნომინალურია საქონლის უქონლობის გამო.

დღევანდელ ბირჟაზე საქართველოს მზრალი პარკის ფასმა ყოველივე რეკორდს გადააჭარბა: იძლევიან: საქართველოს ყვითელ პარკში: 88 ფრანკს ერთი კილოში, თეთრში 80 ფრანკს ერთ კილოში.

◆ ქალაქ. ხონის ხმოსნების არჩევნები. დამფუძნებელთა კრების დამთვლელი არჩევნების შედეგი ქალაქ ხონში, ასეთია: № 1 მიიღო 636 ხმა; № 2—315; № 3—87; № 5—127; № 8—21; № 16—1.

◆ თბილისიდან პარიზს გაემგზავრა 31 მარტს დამით ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი და სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი. მათ დავალებული აქვთ საქართველოსა და ევროპას შორის ეკონომიური ურთიერთობის დამყარება.

◆ სომეხ ლტოლვილთა გატარება ხონსპეთში. განჯასა და ყაზახში სომეხ ლტოლვილები სთხოვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა ნება დართონ მათ საქართველოს ტერიტორიით სომხეთში გამგზავრებისა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაძლებლათ სცნო მათი საქართველოს ტერიტორიით გატარება, მხოლოდ ისინი გზაზე არ უნდა შეჩერდნენ.

◆ ჟურნალისტთა პროფესიონალური კავშირის დაარსება. 31 მარტს შედგა თბილისის ჟურნალისტთა საზოგადო კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა თ. ს. ბუხშტეინი. თბილისის ჟურნალისტთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე და პროფესიონალურ კავშირის დაარსების აუცილებლობაზე მოხსენება გააკეთა დუმბაძემ—მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა სათანადო კომიტეტი სადაც შევიდნენ: ანინი, ახნაზაროვი, ბუხშტეინი, ჯაფარიძე, დუმბაძე, იოანესიანი, კრიმერი, კროტკოვი, ლვოვი და სულთანოვი. კრებამ დაავალა კომიტეტს ერთი თვის განმავლობაში განიხილოს ჟურნალისტთა კავშირის არსებული წესდება და შეიმუშაოს ის თანამედროვე მდგომარეობას. თბრუნოს კავშირის ორგანიზაციაზე, მოიწვიოს წევრთა საზოგადო კრება, შეიმუშაოს საორგანიზაციო გეგმა კავშირის, შეუთანხმდეს თბილისის პროფ. კავშირთა საბჭოს და მოახდინოს ერთდროული გადასახადის შეკრება—10 მანეთი, მიმდინარე ხარჯების დასაფარავად. საზოგადო კრების დახურვის შემდეგ შედგა დროებითი საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ ბუხშტეინი, მდივნით კროტკოვი და ხაზინადრათ ახნაზაროვი.

◆ ვ. ბარნოვის საიუბილეო საღამო. შაბათს, აპრილის 3, მეორე ქართული კლუბი გამართავს ვასილ ბარნოვის საიუბილეო საღამოს, რომლის შემოსავალიც იუბილიარს გადაეცემა.

◆ ნ. ხუდანაშვილის ნაწარმოებთა გამოცემა. კახეთის მეღვინეთა კავშირის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: თავისი ხარჯით გამოსცეს განსვენებულ კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილის ყველა ნაწარმოებნი.

◆ სახელმწიფო კონტროლიორის თანაშემწე ბოლნის აღსრულებას შეუდგა მისი ამხანაგი კ. ე. ანდრონიკაშვილი, რომელიც მოხვეწილებს მიიღებს ორშაბათობით და ხუთშაბათობით 12-დან 1-ლ საათამდე.

◆ ხონი. ამ ხანად მრავალრიცხოვანი მიტინგი დამფუძნებელ კრების წევრის აკაკი ჩხენკელის მომენტზე მოხსენების შემდეგ მისესალმება და ღაწვე. კრებას და უსურვებს ენერგიულ მუშაობას სოც. დემ. ფრ. ინტერესების დაცვაში. ჩვენ მხარს ვუჭერთ მთავრობას დამფუძნებელ ყოველ დროს. კრების ხელმძღვანელი ჯანბერიძე.

◆ დრამატიული საზოგადოებაში. დღეს, 2 აპრილს, საღამოს 8 ს. დაინიშნულია დრამატიული საზოგადოების გამგეობის სხდომა სოც.-ფედერ. ფრაქციის ოთახში, სასახლეში. განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტში. დღეს, საღამოს 5 ს., შესდგება სოც.-დემოკრატ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრება.

◆ სახელმწიფო თეატრში. დღეს, მიშელ დარიალის მონაწილეობით „ვერტერი", შაბათს, მუშებისათვის „ფაუსტი" კვირას, 4 აპრილს დილით „ევგენი ონეგინი" საღამოთ ნ. ჩერეპნინის საბალეტო „ნარცისი".

◆ ხალხის ს. დ. 2-რე უბნის გამნაზიაში კვირას, 4 აპრილს, მოწაფეთა საბჭოს მიერ გაიმართება დიდი საღამო მოწაფეთა ცენტრალურ კომიტეტის მიერ დაარსებულ „ახალგაზრდობის სახლის" სასარგებლოთ.

კრებები.

2 აპრილს, შედგება ოთხი სოციალ-დემოკ. მუშ. პარ. კრება 5 ს. ტრამვაის პარკში.

ბათუმი

პოლკ. გარისთან მუშათა კონფერენციის მიერ არჩეულ დელეგატებს ჰქონდათ საუბარი 30 მარტს. გუბერნატორი დაეთანხმა, რომ სატყავ გემების მოხამსახურეები დარჩნენ პროფესიონალურ კავშირში და შეინარჩუნონ ყველა ის უფლებები, რომლებიც მათ ქონდათ სატყავთო გაწყობილების სამოქალაქო მართველობის ხელში გადასვლამდის. მხოლოდ ბ. გარისმა მოითხოვა, რომ პროფესიონალურ კავშირის წევრებმა არ მოახდინონ ძალდატანება იმ მოსამსახურეებზე, რომლებიც არ მოისურვებენ კავშირში შესვლას, დელეგატებმა განუმარტეს, რომ ძალდატანება ვინმეს პირიქითაზე არ მომხდარა და არც მოხდება. ამრიგათ კონფლიქტი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

— ბათუმის სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო დიდი ძალი ბოსტნეულ მცენარეთა თესლი და სამეურნეო იარაღები. ამავე საზოგადოებამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მიღებულ იქნას ზომები ახალი თესლეულობის საცდელ მინდორის გასაშენებლად.

უცხოეთი

ოსმალეთი.

ოსმალეთის ავანტიურა სომხეთში. სომხეთის დემოკრატიის სააგენტო იტყობინება: სომხეთის მთავრობამ მიიღო ცნობები იმის შესახებ, რომ თათრებით დასახლებულ რაიონებში [illegible] აგენტები და ოფიცრები [illegible] ეწევიან,—ადგენენ რაზმებს, აწვრთნიან მათ სამხედრო საქმეს და ამზადებენ აჯანყებას სომხეთის წინააღმდეგ და თავდასხმას სომხეთის ჯარებზე. ეს აგენტები ახდენენ იძულებით მობილიზაციას და გაზაფხულისათვის ამზადებენ საერთო გამოსვლას. 19 მარტს 5,000 კაცისაგან შემდგარი თათართა რაზმი ოსმალეთის ოფიცრების ხელმძღვანელობით თავს დაესხა ბოზბურუნის მიდამოებს; სომხების ნაწილები იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ. 20 მარტს თათრები თავს დაესხნენ რკინის გზას შირაზლის ახლოს; მაგრამ ამ შემთხვევაში სომხეთის ჯარებმა ისინი გაფანტეს. უკანასკნელ ცნობების თანახმად სომხების ჯარებმა უკან დაიბრუნეს ბოზბურუნის მიდამოები. („ნ. ვ.").

საბერძნეთი.

ოსმალეთის წინააღმდეგ. საბერძნეთის დედა ქალაქ ათენის გაზ. „ნეა ელლასის"-ს ცნობით ვენიზელოსმა წინადადება მისცა საზავო კონფერენციას, რათა უკანასკნელმა ნება დართოს საბერძნეთის ჯარს დაედევნოს და განადგუროს ოსმალეთის „ნაციონალურ" მოძრაობის ხელმძღვანელ მუსტაფა ქემალის ჯარი. უმაღლეს საბჭომ განიხილა ვენიზელოსის ეს წინადადება; მაგრამ გადაჭრილი გადაწყვეტილება ამის შესახებ ჯერ არ არის გამოტანილი.

ინგლისი.

ოსმალეთის გარშემო. ლონდონიდან მოსული ცნობების თანახმად ინგლისის პრესა ფართო აგიტაციას ეწევა საბერძნეთის სასარგებლოთ. პრესა მოითხოვს რათა ოსმალეთი მკაცრად იქნეს დასჯილი. ლონდონის ქუჩებში გაკრულია პროკლამაციები, რომლებიც მოითხოვენ რათა სტამბოლი წაერთვას ოსმალეთს და საბერძნეთს გადაეცეს.

რუსეთი და ხალხთა ლიგა. გაზეთ „ონ ნინოში" მოთავსებულია რობერტ სესილის განცხადება რუსეთის და ხალხთა ლიგის შესახებ. სესილს საჭიროდ მიაჩნია, რომ ბოლშევიკებს თავი მიანებონ და მოუცადონ მათ პოლიტიკის შედეგებს. სესილის აზრით ბოლშევიკური იდეები არ გავრცელდება დასავლეთში. ინგლისისა და საფრანგეთის ხალხი ყოველთვის რეალურ პირობებს უწევს ანგარიშს. სესილი დიდ იმედებს ამყარებს ხალხთა ლიგაზე. „ის უნდა არსებობდეს და გადაიქცეს რეალურ ძალათ" ო მართალია, შეერთებული შტატები არ იღებენ მონაწილეობას ხალხთა ლიგაში და ეს გავლენას მოახდენს ლიგის ნორმალურ მუშაობაზე; მაგრამ ლიგა მაინც წარმოადგენს ზავისათვის სერიოზულ გარანტიას. ხალხთა ლიგის დამარცხება გამოიწვევდა ევროპის ცივილიზაციის დანგრევას, რაშიაც ბრალი ჩვენ დაგვედებოდა.

ამერიკა.

ვაჭრობის განახლება რუსეთთან. რიგაში ჩავიდა ამერიკელების კომისია, რომელსაც მიზნათ აქვს დასახელებული—შეისწავლოს, თუ რა პირობებში იქნება შესაძლებელი რუსეთთან ვაჭრობის განახლება. („ტაიმსი").

რუმინია.

ფულები საბჭოთა რუსეთისათვის. ქ. ხოტინიდან ჩამოვიდა გერმანელების ლიდერი, რომელიც მოსკოვისაკენ მიფრინავდა. ოფიცრები, 300 მილიონი მ.ნ. ფული და ფულების საბეჭდი მანქანა, რაც ამ მუ? ბორტზე იყო, დაიჭირა რუმინიის მთავრობამ და ბუქარესტში წაიღო. რამდენიმე ხნის წინათ იმავე ადგილას და იმავე პირობებში დაჭერილ იქნა მეორე მოსკოვისაკენ მიმავალი დირიჟაბლი.

იაპონია.

წარმოების ზრდა. იაპონიის მრეწველობა თანდათან იზრდება. ამის საილუსტრაციოთ საკმაოა აღნიშვნოს ის ფაქტი, რომ 1919 წლის განმავლობაში იაპონიამ შემოიტანა ინგლისიდან ერთ მილიონზე მეტათ დირექციული ბამბის დასამუშავებელი მანქანები. ასეთივე წარმატება ემჩნევა წარმოების სხვა დარგებსაც.

სომხეთი.

ცვლილება მთავრობაში. ერევნიდან მოსული ცნობით, სომხეთის მთავრობაში შემდეგი ცვლილებები მომხდარა: ა. ხატისოვი ისევ მინ. სტრ-თავმჯდომარეთ რჩება; საგარეო საქმეთა მინისტრათ ინიშნება ექიმი ა. ოგანჯანიანი, წევრი პარიზის ნაციონალურ დელეგაციისა და ყოფილი უზრუნველობის მინისტრი ამიერ-კავკასიის კომისარიატში. მომხდარა სხვა ცვლილებებიც. („ილ.").

ადერბეიჯანი.

განჯაში ყარაბაღის ამბებმა გავლენა იქონია განჯის მუსულმან მცხოვრებლებზე, ისინი ადგენენ მოხალისეთა რაზმებს და სომხების წინააღმდეგ მიდიან. განჯის სომეხ მცხოვრებთა მდგომარეობა გართულებულია. სომეხი ინტელიგენცია ევაკუირებულია სომხების მოქმედების და ამ მოვლენას ზოგიერთ ფასისტმ? [illegible] ელემენტების მოქმედებით

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს!

ამხანაგებო! პარტიული წესდების 10 §-ის თანახმათ ჩვენ ვიწვევთ მაისში პარტიის ყრილობას, დღე ცალკე გამოცხადდება.

პარტიული თათბირის დადგენილებით, რომელიც მოხდა 25—26 მარტს და დაადასტურა ცენტრალურმა კომიტეტმა, ყრილობისთვის მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი:

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ნ ი:

1. ცენტრალური კომიტეტისა.
2. საკანტროლო კომისიისა.
3. მთავრობის წევრებისა
4. ფრაქციის.
5. მიმდინარე მომენტი.
6. კონსტიტუციის პროექტის განხილვა.
7. ფინან.-ეკონომიური პოლიტიკა.
8. პროფესიონალური მოძრაობა.
9. კოოპერატიული პოლიტიკა.
10. მუნიციპალური პოლიტიკა.
11. აგრარული პოლიტიკა.
12. ჯარი და სახალხო გვარდია.
13. პარტიული მუშაობა.
14. პარტიული გამომცემლობა.
15. დამოკიდებულება სხვა და სხვა პარტიებთან.
16. ინტერნაციონალი.
17. არჩევნები ცენტრალურ კომიტეტისა და საკანტროლო კომისიისა.

პარტიული წესდების 11 §-ის თანახმათ ადგილობრივი ორგანიზაციები ყრილობაზე გზავნიან დელეგატებს თითო-თითო ყოველ 400 წევრზე. იმ ორგანიზაციებს, რომელნიც მაზრას და დიდ ქალაქებს ხელმძღვანელობენ და რომელთაც სათავეში კომიტეტი უდგია, უფლება ეძლევა ყრილობაზე ერთი დელეგატის გაგზავნის იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი 400-ზე ნაკლები ითვლება.

დელეგატთა არჩევის წესს თვით ადგილობრივი ორგანიზაცია იმუშავებს

იმ ორგანიზაციებმა, რომელთაც გასული წლის მოქმედების ანგარიში არ წარმოადგინეს, უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 აპრილისა.

ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოც. დემ. მ. პარტიისა.

ხნიან. ადგილობრივ სომხებს და მუსულმანებს შორის მშვიდობიანი განწყობილება.

(„აზერტაგი.")

ყარაბაღის გარშემო აზერბეიჯანის მთავრობის ოფიციალური ცნობის თანახმად სომხების ბანდები განაგრძობენ თავდასხმას შუშაზე, ხანკენდზე, ტერტერზე და ასკერანზე. თავდასხმები მოგერიებულია. ზანგეზურის რაიონში განადგურებულია მთელი რიგი მუსულმანური სოფლები. სომხების შეიარაღებულ ძალების მიერ ასკერანის დაჭერის გამო ყარაბაღის მთა-გორიანი ნაწილი მოწყვეტილია ბაქოს.

პ ო ლ ო ნ ე თ ი.

ვარშავის კონფერენცია. ვარშავაში ხდება კონფერენცია პოლონეთის, ლატვიის, ფინლიანდიისა და ლიტვის წარმომადგენლებისა. კონფერენციამ წინადადება მისცა რუმინიას, რათა უკანასკნელმაც გამოგზავნოს თავისი წარმომადგენლები კონფერენციაზე. რუმინია დათანხმდა და მოკლე ხანში მოელიან რუმინიის დელეგაციას, რომელიც ფართო უფლებით იქნება აღჭურვილი. კონფერენციის გაზეთ „ტაიმს"-ის ცნობით, უკვე გამომუშავებულია დებულებანი, რომლებითაც კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების დროს. პოლონეთ და ფინლიანდიის შორის უკვე მომხდარა შეთანხმება სამხედრო კომისიის დაარსების შესახებ, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს გეგმა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისა, თუ უკანასკნელნი მოისურვებენ წინ წამოწევას.

შრომის სამინისტროში

ტფილისის შრომის კომისარმა ამხ. ულაბაქაძემ, 29 მარტიდან დაიბარა და ქალაქის საერთო კასასთან შეაერთა, თამბაქოს ფაბრიკა „[illegible]"-ს, ქალაქის სასაკლაოსა და ფურნის მუშები.

მან აცნობა შრომის სამინისტროს, რომ წესდების მე-257 მუხლის ძალით, საქართველოს სატრანსპორტო სააქციონერო საზოგადოების „ვარიაგი" დაზღვეული იყო ავადმყოფობისაგან და მუშები გასული წლის 14 ნოემბრიდან მიწერილი იყვნენ საერთო საქალაქო კასას. მარტის პირველ რიცხვებში ხსენებულ „ვარიაგი"-ს მუშების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ავადმყოფობის დროს არ ღებულობენ საექიმო დახმარებას და არ ითვლებიან სავადმყოფო კასის წევრებად.

მიუხედავად კომისრის თანაშემწის გაფრთხილებისა და ხსენებულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის დაპირებისა, რომ მიღებული იქნება მათი სავადმყოფო კასაზე მიწერა და საექიმო დახმარების აღმოჩენა, 20 მარტს მუშებმა განაცხადეს, რომ ეს პირობა შესრულებული არ არის.

23 მარტს, ავტომობილების მთავარ სახელოსნოსა და სახელოსნოს გარაჟის დათვალიერების დროს, შრომის კომისარმა აღმოაჩინა, რომ სახელოსნოს კანტორის მოსამსახურენი და დარაჯები არ არიან მიწერილი საერთო საქალაქო კასასთან, კასის სასარგებლოდ გადასახადს არ იხდიან და ეს ფულები შეტანილი არ არის კასაში. რაც შეეხება სახელოსნოს გარაჟის მუშების განცხადებას, დამტკიცდა, დღემდე ისინი არ არიან მიწერილი საერთო საქალაქო კასას და არ ღებულობენ საექიმო დახმარებას. აცნობებს რა ყველა ამას, შრომის კომისარი სთხოვს სამინისტროს მიიღოს სათანადო ზომები, რომ ხსენებულ წარმოებების ადმინისტრაციამ დააკმაყოფილოს მათი კანონიერი მოთხოვნილებანი და დაცულ იქნეს მუშების ინტერესები.

2 აპრილს, შუადღის 12 საათზე, ტფილისის თამბაქოს ფაბრიკების მექანიკებისა და კანტორის მოსამსახურეთა დაზღვევის საკითხის გამოსარკვევად შრომის კომისრის კაბინეტში შესდგება თათბირი. ამის გამო შრომის კომისარი სთხოვს მეთამბაქოეთა სექციისა და ფაბრიკა-ქარხნების საზოგადოებების თავმჯდომარეებს, ტფილისის საერთო საქალაქო კასას, თამბაქოზე მომუშავე მექანიკოსთა სექციისა და ფაბრიკის მოსამსახურეთა სექციების გამგეობებს ხსენებულ თათბირზე გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები.

სატარიფო პალატა

სატარიფო პალატის მუშათა სექციის დადგენილება.

29 მარტს, სატარიფო პალატის მუშათა სექციამ განიხილა რა სამუშაო ქირის გადიდების საკითხი, რომელიც აღძრული იყო მრეწველთა, ფარმაცევტთა, სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა და [illegible] პროფესიონალური კავშირების მიერ, და მიიღო რა მხედველობაში მიმდინარე წარსული სამი მომენტისა, რომელმაც თვალსაჩინოდ გახადა ის მდგომარეობა, რომ თანამედროვე ეკონომიური პირობებში ასეთ მოკლე პერიოდებში მომატება იწვევს ფულის ნიშნის დაქვეითების დაცემას და პირველ საჭიროების საგნებზე ფასების საშინლად ზრდას, რომ რეალური სამუშაო ქირის აწევა შეიძლება მხოლოდ მიწოდების ორგანიზაციის მოწესრიგებით, რომ ამ მხრით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია და სათანადო შედეგებიც მოიტანა პურის რაციონის სულზე ნახევარ გირ. 1 გირვანქამდე გადიდების წყალობით, აგრეთვე ცოტათ თუ ბევრათ რეგულიარულად სწარმოებს მიწოდება მუშებისადმი შაქრისა, ბრინჯისა და სხ. პროდუქტებისა, რომ რესპუბლიკაში [illegible] ფულის ნიშნების რაოდენობის გადიდება გამოიწვევს რა ფინან. კრიზისს, დიდ ზიანს მოუტანს მუშათა კლასის მდგომარეობას,—სატარიფო პალატის მუშათა ფრაქციამ დაადგინა: სამუშაო ქირის ტარიფის გადიდება ცნობილ იქნას არადროულად. შემდეგ მუშათა ფრაქციამ მოისმინა რა რწმუნებულის მოხსენება, რომ აპრილის პირველ რიცხვებისათვის ის ფიქრობს მისცეს სულზე 3 გირვანქა ბრინჯი და ერთი გირვანქა შაქარი თვეში, დაადგინა: წინადადება მისცეს მომარაგების სამინისტროს, ხსენებულ რაციონს მაგიერ მისცეს სულზე 4 გირვანქა ბრინჯი და 2 გ. რ. შაქარი. ამასთან ერთად სექციამ იმსჯელა პურის ფასის გადიდების შესახებ 5 მანეთამდე გირვანქაზე და ასეთი გადიდება მისაღებათ სცნო.

მუშათა სექცია აუცილებელ საჭიროთ სთვლის აღნიშნული დადგენილება გადაეცეს განსახილველათ პროფ. კავშირთა სეკრეტარიატს კავშირების გამგეობების მონაწილეობით.

საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში

30 მარტს შესდგა საქართველოს ტექნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ქიმ. მ. შალამბერიძის მოხსენება ფუნილი ნახშირის გამოყენების შესახებ. სათბობი მასალის საკითხი ყოველთვის და მით უმეტეს ეხლა, როდესაც ომმა აუარებელი მასალა შთანთქა, მეტად მწვავე საკითხად გადიქცა. შეიძლება ითქვას, რომ სათბობი მასალა დღეს ბევრ სახელმწიფოსათვის ყოფნა-არყოფნის საკითხს წარმოადგენს და მთელ [illegible] ცხოვრებას მიმართულებას აძლევს.

მის უზომო საჭიროებამ წამოაყენა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით „თეთრი ნახშირის" საკითხიც ყველგან, სადაც-კი მისი გამოყენება ოდნავ მაინც შესაძლებელია. მაგრამ, ვინაიდან უკანასკნელის მოწყობა საკმაო რთულ საქმეს წარმოადგენს, დიდ მოწყობილობას და ხარჯებს მოითხოვს, „შავ ნახშირი", როგორც ენერგიის წარმომშობი მასალა, მაინც დიდ პატივისცემაში არის.

საქართველო, რომელიც მოკლებულია საკმაო ნავთს და რომლისათვისაც მდინარეთა და ჩანჩქერთა ენერგიის გამოყენება მოკლე დროში მაინც არც ისე ადვილი საქმეა, უნდა შეეცადოს რაციონალურად მოიხმაროს ის ქვა-ნახშირი, რომელიც მდიდრად მოიპოვება ტყიბულის და ტყვარჩელის მიდამოებში. რომ ეს მადნები დიდ ღირებულებას წარმოადგენენ იქიდანაც კი ჩანს, რომ უცხო სახელმწიფოები ერთობ დაინტერესებული არიან მათი გამოყენებით. მომხსენებელი შეეხო ფუნილ ნახშირს, რომელსაც ჩვენში მოხმარება არ აქვს; მაგრამ, ვინაიდან სათბობი მასალის საკითხი მეტად მწვავე და მნიშვნელოვანია, აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ინჟინრებმა: სარაჯიშვილმა, მგალობლიშვილმა, ბრაილოვსკიმ, კირკიტაძე-შვილმა, კაკაბაძემ და სხვ., მსჯელობის საგანი გაფართოვდა, ის საზოგადოდ საქართველოს სათბობი მასალის რაციონალიზაციის საკითხად გადიქცა და ერთ სხდომაზე ვერ ამოიწურა.

რადგან სათბობი მასალის საკითხის მიზანშეწონილად გადაჭრას და მოგვარებას საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, გადაწყდა ამ საქმის ყოველმხრივ შესწავლა და გამოკვლევა.

სხდომის გაგრძელება დანიშნულია დღეს, 2 აპრილს, საღამოს 7 საათზე ერთნეულ (ყოფილ ფრეილინის) ქუჩ., № 11, რომელსაც შეუძლია დაესწროს როგორც ტექნიკური საზოგადოების წევრი, ისე ამ საკითხით ყველა დაინტერესებული პირი.

1 რაიონის ძველი აქტიური პარტიული მუშაკების განცხადება

პირველი რაიონის ძველი აქტიური პარტიაში მომუშავე ამხანაგები გამოთქვამენ სწუხარებას იმ ინციდენტის გამო, რომელსაც ჰქონდა ადგილი ქალაქის თვითმართველობის დარბაზში 23 მარტს ძველი მომუშავე ამხანაგების კრებაზე.

დასახული მიზანი მეტად სიმპატიური და მნიშვნელოვანია, რომლის მოსაწყობათ ყველამ უნდა მივიღოთ ენერგიული მონაწილეობა. იმავე დროს ყველამ უნდა ვეცადოთ, თუ გვინდა ნაკლები შეცდომები იყოს დაშვებული, ამისათვის საჭიროა მეტი მოფიქრება და მიზან შეწონილი საქმის დაწყება. აჩქარებით შეიძლება ბევრი არა სასიამოვნო ელემენტები შევაერთოთ, იმავ დროს შეიძლება ბევრი მეტად სასურველი ამხანაგები დაგვრჩეს გარეთ, რომლებიც მუდამ გულნატკენნი იქნებიან.

როგორც გამოირკვა საზოგადო კრებაზე, მიზანი ჩვენი ერთია: რევოლუციის მოძრაობის საძირკვლის ჩამყრელ ძველ მომუშავე ამხანაგების თავის მოყრა საზეიმოთ, მოლაპარაკება საჭირო შინაურობთ კითხვებზე, მოგონება ძველი მუშაობის, საერთო სურათის გადაღება, არჩევა სარედაქციო კომისიის, რომელიც შეუდგება ბიოგრაფიის წარსულ მოღვაწეობაზე და სხვა. ამას ექნება დიდი ისტორიული მნიშვნელობა და როგორც ასეთს, საჭირო იყო უფრო [illegible] მუშაობა ვიდრე ისე როგორც ფიქრობენ ზოგიერთი ამხანაგები.

პირველი რაიონის ძველმა პარტიულმა მუშაკებმა მოვითხოვეთ ამ ბანკეტის გადადება, შექმნა ყველა რაიონებში ძველი მუშაკებიდან შემდგარი კომისიისა, ამ კომისიას უნდა შეედგინა სია იმ პირების, რომლებიც მიიღებდნენ აქტიურ მონაწილეობას და სათავეში უდგენ ორგანიზაციებს 1905 წლამდე. ამით ჩვენ თავიდან ავიცილებდით მომავალ უკმაყოფილებას და ნაკლებ შეცდომებს დავუშვებდით, ჩვენ გვერდში არ აღმოჩნდებოდა „მეპიდლეები" და ორგულნი ორგანიზაციულ მუშაობისა.

ყველამ იცის, რომ ძირითადი რევოლუციონური მოძრაობისა არის ნაძალადევის რაიონი და ჩვენ არ შეგვეძლო ნაჩქარევად შეგვედგინა სია იმ ამხანაგებისა, რომლებმაც თავის დროზე სიცოცხლე მუშათა მოძრაობას შესწირეს. სიჩქარით შეიძლება ბევრი გამოგვრჩენოდა და ბევრიც შეგვეპაროდა არა სასურველი ელემენტები, რის გამოც მოვითხოვეთ ბანკეტის გადადება, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მიიღო ჩვენი კანონიერი მოთხოვნილება უმრავლესობამ და მაინც დანიშნეს არა 18 აპრილს, არამედ—4 აპრილს, რის გამოც იძულებული შევიქენით უარი განგვეცხადებინა ბანკეტზე მონაწილეობის მიღებაზედ, ჩვენ ვფიქრობთ არც ერთი ძველი მუშაკები არ მიიღებენ მონაწილეობას 4 აპრილს თუ აძლევენ მართლაც ისტორიულ მნიშვნელობას და შეუდგებიან ჩვენთან ერთად სამზადისს. აგრეთვე ვიწვევთ ყველა პროვინციელ ძველ მუშაკებს ჩვენს მოწოდებაზე გამოეხმაურნენ დანიშნულ დროის და მიიღონ მონაწილეობა ჩვენს ზეიმში.

ჩვენ პირველი რაიონის ძველი მუშაკები ვაცხადებთ, ამ ზეიმში ვერ მივიღებთ მონაწილეობას, ვინაიდან მას ვცნობთ ნაჩქარევად და შეცდომებით. ახლო მომავალში ისტორიული ბანკეტის მოწყობა, რაც უკვე ეცნობება ყველა ახლო და შორს მყოფ ამხანაგებს მათი სახელის და გვარის გაზეთში გამოცხადებით.

პირველი რაიონის ძველი პარტიული მუშაკები.

საზოგადოება „კავკასიის მარცვალი"

(„Ковкавское Зерно")

კვირას, 28 მარტს, სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგა საზოგადოება „კავკასიის მარცვალი"-ს მეორე საზოგადო კრება. სამწუხაროდ, კრებაზე რამდენიმე ასეულ წევრთაგან დაესწრო სულ ორმოცამდე. ეს ნაირი საზოგადოება კი, რომელსაც განუზრახავს მოაწყოს საზღვარ გარეთ ახალგაზრდების გაგზავნა მეურნეობის თუ სხვა ხელობების შესასწავლად ფართო [illegible] თანამშრომლობისა. ამ საქმის ინიციატორმა ბატონმა [illegible] აუხსნა დამსწრეთ მიზანი და დანიშნულება საზოგადოებისა.

განმარტა, რომ მარტო საქონლის გაცვლა-გამოცვლით სახელმწიფო ვერ აშენდება, რომ დიდათ საჭიროა თვით წარმოების აყვავება, შრომის გაცვლა-გამოცვლა. შრომის გამოცვლად შეიძლება საზღვარ გარედ ახალგაზრდობის გაგზავნით სპეციალური საგნების და ხელობის შესასწავლად და აგრეთვე საზღვარ გარეთიდან მცოდნე და გამოცდილი ოსტატების მოწვევით.

კრებაზე გამოითქვა მეტად დამაფიქრებელი მოსაზრებანი... ჩვენში ინგრევა, ნადგურდება აუარება ძვირფასი მანქანები. არ ვიცით მათი მოვლა პატრონობა. არ ვიცით საქონლის მოვლა გამრავლება. არ ვიცით ისე მიწის დამუშავება, რომ მან მოგვცეს რაც შეიძლება მეტი ნაყოფი. საქართველო-კავკასია მდიდარია ქონებით და თუ ცოდნა და მომზადება-განაწილების უნარი გვექნება,—კავკასიას ადვილად შეუძლია არა თუ თავის გამოკვება, არამედ ბევრი ნედლი მასალის საზღვარ გარეთ გატანა. უეჭველად ამის მისაღწევად საჭიროა მცოდნე პირები. ამისთვის კი უნდა ვეცადოთ გავგზავნოთ საზღვარ გარედ ახალგაზრდები. ხოლო სანამ ეს ჩვენი გაგზავნილები შესწავლილი დაბრუნდებიან—ახლავე საჭიროა იქიდანვე სპეციალისტების დახმარება, რომ საქმე არ შეჩერდეს..

მომავალი კრება იქნება კვირა დილით 10 საათზე სახალხო უნივერსიტეტის შენობაში, მიხეილის ქუჩაზე. კრებაზე დასწრება ყველას შეუძლია. წარსულ კრებაზე ამორჩეულმა დელეგაციამ უკვე წარუდგინა საზღვარ-გარედ მიმავალ ფინანსთა მინისტრ კანდელაკს შემდეგი რეზოლიუცია, მიღებული იმავე კრებაზე.

„კავკასიის მარცვალი"ს საზოგადო კრება გთხოვთ თქვენ ბ-ნო მინისტრო, ამ თქვენი საზღვარ გარეთ წასვლის დროს აღძრათ სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობებთან საკითხი, რათა გაგვიადვილონ მათ სახელმწიფოში ახალგაზრდების გაგზავნა, რომ ამათ შეისწავლონ მეურნეობა, თუ სხვა სპეციალური ხელობანი და აგრეთვე გამოგზავნონ ჩვენში მოთხოვნილების დროს სპეციალისტები და მცოდნე პირები.

მინისტრმა მიიღო დელეგაცია და აღუთქვა დახმარება. ვისაც აინტერესებს აღნიშნული საკითხი, ვთხოვთ მობძანდენ სახალხო უნივერსიტეტის ბინაზე (ოლღინსკის პროსპექტი) კვირას 4 აპრილს, დილის 10 ს. ამ კრებაზე უნ და არჩეულ იქნას გამგეობა და სარევიზიო კომისიები.

X.

ერობათა ცხოვრება.

ზუგდიდის სამაზრო ერობის სხდომათა ოქმიდან *).

II მაზრის სკოლების მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამ განყოფილების გამგე გამგეობის წევრი [illegible] ცხაკაია.

მომხსენებელი პირველ ყოვლისა ეხება სწავლა-აღზრდის საქმის მდგომარეობას საერთოდ და აღნიშნავს, რომ ჩვენი სკოლები განიცდიან გარდამავალ ხანას და არც ერთ მაზრაში ჯერ-ჯერობით საქმე ამ მხრივ არ არის სასურველ დონეზე დაყენებული

რევოლიუციის დროს სკოლები ზუგდიდის მაზრაში დარჩნენ სრულიად მივიწყებულნი და უპატრონონი. სასწავლებელნი სამიტინგო დარბაზებად იქცნენ. ანარქიის დროს გაანადგურეს სკოლები, დაიტაცეს ნივთები და სხ. და სხ. ასე რომ 1919 წ. ერობის ხელში გადმოვიდა თარი წლის განმავლობაში უპატრონოთ დარჩენილი და დანგრეული სასწავლებლები.

ერობამ დაისახა მიზნათ, დანგრეულ სკოლების აღორძინება და სწავლა-აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა, და სკოლების რიცხვის გამრავლება, როგორც ამას მოითხოვდა ხალხში გაძლიერებული განათლების მიღების სურვილი ამ საქმის მოგვარება ნორჩ ერობისთვის ადვილი საქმე არ არის.

დღიდან ერობის შემოღებისა მის ხელში გადმოვიდა დაბალ დაწყებითი სასწავლებელნი: 69—საკუთარი შენობებით, 21—ნაქირავები შენობით ამათში სულ 15 სასწავლებლის შენობა ცოტა თუ ბევრად უზრუნველყოფილი, დანარჩენნი კი [illegible].

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სკოლების შეკეთების საქმეში ერობის მუშაობას ბევრი რამ გადაეღობა წინ. ამას აფერხებდა ტექნიკური ძალების სიმცირე მაზრაში და გარედან კი ასეთი ძალები ვერ მივიზიდეთ ჯამაგირების სიმცირის გამო. მოუსავლიანობამ ჩვენი გლეხობა შიმშილობის წინ დააყენა და ერობამაც მას ვერ მოსთხოვა დახმარება. მთავრობის დახმარებით, ერთის მხრით, და თემების და საკუთარი თანხის საშუალებით, მეორე მხრით, მომხსენებელი იმედოვნებს, რომ მომავალ წლისათვის საქმე ცოტა თუ ბევრად მოეწყობა.

მიუხედავად დამაბრკოლებელ მიზეზებისა, ხალხში მომწიფებულმა სწავლის სურვილმა უკარნახა ერობას ახალი სასწავლებლების გახსნა. ამ წლის განმავლობაში მან გახსნა 15 დაბალი პირველ დაწყ. სასწავლებელი, გარდა ამისა სხვადასხვა სასწავლებლებთან გახსნა ახალი კომპლექტები და სხ.

საერთოდ 1920 წ. 1 იანვ. ჩვენს მაზრაში ითვლებოდა 103 დაბალ-დაწყებ. სასწავლებელი. სულ ამ სასწავლებლებში 228 მასწავლებელია. სწავლობს დაახლოვებით 9000 მოწაფე, გარდა ამისა მაზრაში კიდევ არსებობს რამოდენიმე საზოგადოების ხარჯით გახსნილი დაბალ-დაწყებითი სასწავლებელი. ის მცირე თანხა, რომელსაც იძლევა ხაზინა, ვერ ფარავს სამეურნეო ხარჯებსაც სკოლების და ერობა და თემები თითონ უვლიან მათ.

მომხსენებელი გადადის მასწავლებელთა პირადი შემადგენლობაზე და მათი მომზადებაზე და ამბობს, რომ ძველი დროის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ის მძიმე შედეგები გვიანდერძა, რომ მაზრაში მცირე რიცხვი მოიძებნება ქართულის საჭიროდ მცოდნე და პრაქტიკულად მომზადებული მასწავლებლები. ერობას უნდა გამოენახა საშუალება, რათა ეს ნაკლი შეძლების დაგვარად მაინც დაეფარა და ამისთვის მან მოაწყო მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსები, რომელზედაც დაესწრო 60 მასწავლებელი. გარდა ამ კურსებისა გამგეობამ მოიწვია ორი ინსტრუქტორი, რომლების მოვალეობას შეადგენდა სკოლების თვალ-ყურის დევნება და ხელმძღვანელობა პედაგოგიური მხრით. ერობამ გადადგა ნაბიჯები, რომ მიაწოდოს მასწავლებლებს ხოლმე ჟურნალ-გაზეთები, სახელმძღვანელოები, მოაწყოს პედაგოგიური კურსები და სხ. მასწავლებელთა პროფესიით დღეს არ არის არავინ დაინტერესებული, რადგან არც მასწავლებლის ჯამაგირი უზრუნველ არ ყოფს ადამიანს ამის გამო მასწავლებელთა რიცხვი მცირდება თანდათან, თან არ მოიპოვება ისეთი პედაგოგიური კურსები, რომელსაც შეეძლოს ახალი მასწავლებლის მიცემა. ეს არის მიზეზი იმ ერთ თვიან კურსების გახსნის, რომელიც გასულ წელს მოეწყო ქუთაისში ერობამ აქედანაც გაგზავნა ამ კურსებზე მსმენელები. ასეთი სიმცირე მასწავლებელთა რიცხვისა არის მიზეზი აგრეთვე იმის, რომ დროებით დაშვებულ იქნენ მასწავლებლად უცოდინარი პირები. რომ ასეთ მდგომარეობიდან თავი დავაღწიოთ, ერობას განზრახული აქვს მოაწყოს ზუგდიდში ექვსთვიანი კურსები.

მაზრაში არსებობენ უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი: 2—სახაზინო, 8—საერობო და 3—საზოგადოების ხარჯით გახსნილი

მომხსენებელი აცნობს კრებას იმ უმწეო მდგომარეობას, რომელსაც განიცდიან [illegible] მაღ. დაწყებ. სასწავლებლები და იმ დახმარებას, რომელიც მათ ერობამ აღმოუჩინა.

მასწავლებელთა საკითხი მაღალ-დაწყებით სასწავლებლებში უფრო მძიმე მდგომარეობაშია, ვინემ დაბალ დაწყებითში.

დასასრულ მომხსენებელი ამბობს, რომ გამგეობამ თუ ბევრის გაკეთება ვერ შესძლო, მაინც შეუძლია თავის წლევანდელის ასრულების შეგნებით სთქვას დამშვიდებულად, რომ სახალხო განათლებისთვის საჭირო წინასწარი მუშაობა მან მოათავა.

ამის შემდეგ იწყება შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელი ს. ცხაკაია აძლევს განმარტებებს.

აგრარული და აგრონომიული განყოფილებებზე მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ა. ანჯაფარიძე.

მომხსენებელი ეხება რა მაზრის გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ პირობებს, აღნიშნავს, რომ ეს პირობები ხელს უწყობენ მაღალ [illegible] კულტურული მეურნეობის [illegible], მაგრამ ჩვენი ხალხი [illegible] სამეურნეო ცოდნას და ჯერაც იწევს პრიმიტიულ მეურნეობას, ძველი მთავრობა ამას სრულიად არ აქცევდა ყურადღებას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამაზრო აგრონომს და ინსტრუქტორებს, რომელთა მუშაობა კაბინეტს არ სცილდებოდა. ხალხთან და მის მეურნეობასთან არავითარი კავშირი არ ქონდა. ერობამ, პირველ ხანებში, ვერ შესძლო საჭირო დახმარების აღმოჩენა, რადგანაც სწორედ სამეურნეო მუშაობის გაშლილი ცოდნა და არც სათანადო შტატი მოიძებნებოდა. ამის გამო მის მუშაობას პირველ ხანებში ადმინისტრატიული ხასიათი ქონდა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც შინაური საორგანიზაციო საქმეები ცოტად თუ ბევრად მოწესრიგდა, შესაძლებელი გახდა აგრონომიულ დახმარების მხრივ ნაბიჯების გადადგმა. მაზრა დაყოფილ იქნა სააგრონომო რაიონებად, მაგრამ საჭირო იყო 10 ინსტრუქტორი და ჩვენ აგრონომიულ ცოდნის პირთა სიმცირის გამო შევძელით მხოლოდ 6 ინსტრუქტორის მოწვევა. ეს მცირე პერსონალი შეუდგა მუშაობას და ხელმძღვანელობას უწევდა სხვა და სხვა სახით მაზრაში მეურნეობის განვითარებას. მომხსენებელი მოკლედ აცნობს კრებას ამ მუშაობას, აღნიშნავს დაბრკოლებებს, სამეურნეო იარაღების სიმცირეს. თემები ზოგან მოითხოვენ ნაღდ ანგარიში სამეურნეო იარაღებს, ცოდნით ინსტრუქტორებს, მაგრამ ჩვენ მათ ვერ ვაკმაყოფილებთ.

ყურადღებას იქცევს მოხსენებიდან, რომ გამგეობა განზრახული აქვს მოაწყოს საცდელი მინდვრები სანერგეებით, ახლო მომავალში შექმნილი იქნება მანდარინის და გარეულ ლიმონის ნერგები, კარტოფილის კულტურის გასავრცელებლად დაკვეთილია 8500 ფუთი საცდელი კარტოფილი, თემებში მზადდება სამაგალითო მინდვრები და ხალხი ყველა ამას სიამოვნებით ხვდება. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს თუ რამდენი თანდათან ფეხს იკიდებს მაზრაში მეფუტკრეობა და რა ზომები მიიღო გამგეობამ, რომ მოემზადებინა დროზე საჭირო რაოდენობით შაბიამანი და გოგირდისა.

მომავლისთვის, ამბობს მომხსენებელი, საჭიროა გამგეობამ იქონიოს სამეურნეო იარაღების საწყობი, სამეურნეო იარაღის მიწოდებით, რომელსაც ხალხი მოითხოვს, ჩვენ გავაფართოვოთ მისი პრიმიტიული მუშაობა. ასეთ საწყობისთვის საჭიროა ერობასთან საკუთარი სახელოსნოს გახსნა, რომელიც მოემსახურებოდა თავის დროზე სამეურნეო განყოფილებს. გარდა ამისა საჭიროა და გამგეობას გადაწყვეტილიცა აქვს, მოაწყოს ზუგდიდში სამეურნეო პრაქტიკული 1 ხან წლიანი კურსები, რომელიც მოამზადებს სამეურნეო ცოდნით მომზადებულ პირთ, რომელთა სიმცირე მეტად აფერხებს საქმეს.

მოხსენება აგრარულ რეფორმის გატარების შესახებ.

გამგეობის წევრის ა. ანჯაფარიძისა მოხსენებიდან სჩანს, რომ გ[illegible] ლებმა შეუდგა რეფორმის პირველი ნაწილის, ე. ი. კონფისკაციის განხორციელებას. მაზრა დაყოფილი იქნა სათვალთვალო რაიონებად. იყო მრავალი დაბრკოლებები არ ყოფნა გამგეობას საჭირო რიცხვი მიწის მზომელების და ამიტომ მუშაობა დაიწყო მხოლოდ [illegible] ონში. გარდა ამისა არ მოიპოვებოდა სწორი სტატისტიკური ცნობები მიწ[illegible] მფლობელობის შესახებ. ხარჯთ-აღრიცხვის ინსპექტორის ცნობები კი სწორი [illegible] იყო. ამ დაბრკოლებებთან ერთად, [illegible] წინააღმდეგ, ხალხში ვრცელდებოდა „აქულაკების" მიერ პროვოკაციული [illegible] სახლებზე და ამ [illegible] ძნელი შეიქმნა მუშაობა.

მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა აგრარულ[illegible] მის ფარგლებში [illegible] ის, რის გაკეთებაც შეიძლებოდა. [illegible] მემამულეებს ჩამოართვეს. [illegible] მისას ჩამორთმეული აქვს 3520 დესეტ. [illegible] 1782 თავს. [illegible] 456 ნაკვეთს შეადგენს და [illegible] 123 აქტი. მთელს მაზრაში [illegible] მიწები მიღებულია 6115 დეს. 158[illegible] სახელმწიფო [illegible] 2394 [illegible] საერთოდ ჩამორთმეულია 6265 დეს.

ახლა გამგეობას დიდი მუშაობა [illegible] უნდა გატარდეს [illegible] კონფისკაცია [illegible] 15 კომისიის დაარსება, რომ რეფორმის გატარება არ შეფერხდეს, საჭიროა [illegible] მის განხორციელება და სხვა.

სატყეო საქმე თანდათან [illegible]. საერთოდ, [illegible] გამგეობას დიდი მუშაობა [illegible] რომ [illegible] მოითხოვს რეკვიზიციის და [illegible] ლების ინტერესი.

სასურსათო განყოფილებ[illegible]

---

*) იხ. „ერთ." № 74.

გამგეობის წევრი პ. ჩახაიას მოხსენება.

1918 წელს, ზუგდიდის მაზრაში საერთოდ სიმინდის მოსავალი იყო. მოწეული სიმინდი ეყოფოდა არა მარტო მაზრას, არამედ დააკმაყოფილებდა რესპუბლიკის ზოგიერთ კუთხეების მოთხოვნილებასაც. მაგრამ სანამ ერობა შეიკრიბებოდა და დაიწყებდა მუშაობას, დიდძალი სიმინდი იქნა გატანილი მაზრიდან საზღვარგარეთ სპეკულიანტების წყალობით. ამის გამო სიმინდის ფასი დღითი-დღე მატულობდა, მთელ მაზრას მოელოდა დაცარიელება და შემდეგ შიმშილი. ამ მოვლენის ასაცილებლად ერობა იძულებული იყო, შესაფერი ზომები მიეღო და აი 14 მარტს 1919 წ. გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით კერძო პირთ ეკრძალებოდა მაზრის ფარგლებში, ერობის ნება დაურთველად სიმინდის ყიდვისა და გატანისა და თვით ერობამ თავის თავზე მიიღო ეს უფლება. ამისთვის მან გახსნა სიმინდის შესასყიდი პუნქტები ზუგდიდში, ხობში და ანაკლიაში, გამოჰყო თანხა 1,800000 მ. დაახლოვებით და შეუდგა ოპერაციებს. პირველ მაისიდანვე თანახმად ყრილობის დადგენილებისა, გამგეობამ დაავალა ყველა სოფლის კომისრებს, გამოეგზავნათ ცნობები სიმინდის საჭიროების შესახებ, მანამ კი დამზადებული იყო 7000 ფუთი სიმინდი, მაგრამ ეს ცნობები მან ვერ მიიღო. პირიქით იყო ცნობები, რომ სოფელში სიმინდი საკმარისი არისო, რის შემდეგ გამგეობამ დაიწყო დაგროვილი სიმინდის გადაგზავნა დამშეულ მაზრებში. მომხსენებელს მოჰყავს ციფრები გადაგზავნილ და შესყიდულ სიმინდის, ნავთის, მარილის, ჩითის და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნების რაოდენობისა.

საქმეთ, საგზაოთ, ტეხნიკური და სატრანსპორტო განყოფილების შესახებ მოხსენება გააკეთა შ. მოსიძემ.

მომხსენებელი შეეხო საერთო პირობებს ზუგდიდის სამაზრო ერობის მუშაობისას და ამბობს, რომ ამ მუშაობისთვის საჭირო იყო აუცილებლად ორგანიზაციულად მოქნილი აპარატი, მრავალრიცხოვანი შტატი მექანიკური მუშაკთა და ფული. ზუგდიდის მაზრას ისტორიამ არც ერთი ამათგანი არ უწყალობა და ის მძიმე პირობებში ჩავარდა. შეუძლებელი გახდა, ერობას ეშოვა საქმისათვის შესაფერისად მომზადებული და გამოცდილ საქმიო პერსონალის, მაგრამ გამგეობამ იმდენი ღონე იღონა, რომ ახლა, საანგარიშო წლის თავში, [illegible] წინანდელ 1 ექიმისა და 5 ფერშლისა, მას ჰყავს 6 ექიმი, 21 ფერშალი და 4 ბებია ქალი, აქვს გახსნილი 5 საავადმყოფო, 1 საექიმო და 11 საფერშლო პუნქტები. ამათ შესანახად წლის ბოლომდე დახარჯულია 535,681 მან. 40 კ., რომელშიაც შედის მთავრობის ერთდროული დახმარება 20,000 მ. გამგეობას აქვს განზრახული კიდევ უფრო გაადიდოს ეს საქმე, რაც მოითხოვს მარტო ექიმთა რიცხვის 15 პირით გადიდებას.

სამეურნეო დარგში, ამბობს მომხსენებელი, გამგეობის მიზანს შეადგენდა, ერთის მხრით, მაზრაში არსებული საქონლის რაოდენობის სხვადასხვა ავადმყოფობისაგან დაცვა და წამლობა და მეორეს მხრით, ადგილობრივი დაწვრილებულ და გადაგვარებულ საქონლის ჯიშის, უცხო პირუტყვის ჯიშთან შეჯვარებით, გაუმჯობესება.

პირველ მიზნისთვის მაზრა დაყოფილ იქნა 3 სამეურნეო უბნად: ზუგდიდის, [illegible] და ხობის. მაგრამ გამგეობამ ვერ აღნიშნულ საერთო მიზეზების გამო იშოვა მხოლოდ ზუგდიდისთვის 1 [illegible]. ასე რომ დანარჩენ რაიონებში მხოლოდ ფერშლები განაგებენ საავადმყოფოებს. აღნიშნავს თუ რა ბრძოლა გასწია სამეურნეო განყოფილებამ საქონლის ჭირთან და და სასრულ აცნობს ყრილობას, რომ გამგეობას განზრახული ქონდა მოეწყობა ზოოტეხნიკური სადგურის და სამიკო პუნქტის, მაგრამ ადგილობრივ უკიდურესი პირობებმა ამის განხორციელებას ხელი შეუშალა.

მომხსენებელი გადადის სატყეო, საგზაო და სატრანსპორტო დარგებზე. ის აღნიშნავს, რომ იმ გზების განსახორციელებლად, რომელიც აუცილებელი იყო მაზრისთვის და რომელიც დაისახა გამგეობამ, საჭირო იყო დიდი ფინანსიური საშუალებანი, დიდი დრო და ინჟინერ-ტეხნიკოსთაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი შტატი, მაგრამ ყველამ იცის, რომ ერობას არც შტატი და არც საჭირო თანხა ჰქონებოდა. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებელ მიზეზებისა, განყოფილებამ გულმოდგინე სიძლიერით ძალას ატანა პირობებს და დაიწყო მაზრაში ახალ გზების და ხიდების კეთება. და ძველის კი მოვლა. გარდა ამისა მან ხელი მიჰყო შენობების შეკეთებას, საავადმყოფოები, აფთიაქები, სკოლები და სხვა. ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გაყვანის მუშაობაზე შემდეგ საანგარიშო წლის მარტიდან და გაყვანილ იქნა 400 ვერსი ტელეფონ ტელეგრაფის ქსელი, დაიდგა 20 ტელეფონის და 4 ტელეგრაფების აპარატები. მომავალი წლისთვის დარჩა მას გასაყვანი 50 ვერსზე მეტი ტელეფონის ხაზი და მოსაწყობი 15-ზე მეტი ფოსტა ტელეგრაფის სადგური. აცნობს ყრილობას იმ მუშაობას, რომელსაც ერობა აწარმოებს რკინის გზის გაყვანაში სენაკიდან ხეთამდე და შემდეგ ზუგდიდამდე. ავტომობილით ტრანსპორტი ვერ მოეწყო, რადგანაც საჭირო ტიპის ავტომობილები არ აქვს. აქვს მხოლოდ მსუბუქი ავტომობილი. გარდა ამისა აქვს ორი ეტლი და ჰყავს 15 ცხენი.

ერობამ პირველ დღიდანვე თავის არსებობისა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ხე-ტყის წარმოების საქმეს. მან შეისყიდა ხის მორები, აიღო იჯარით ორი კერძო ქარხანა ზუგდიდში, ანაკლიაში და შეუდგა ტყის დამზადებას. გარდა ამისა შეიძინა მანქანები და ინვენტარი საკუთარ ქარხნის ასაგებათ. წლის დამლევს ერობას ჰქონდა დამზადებული 35.000 ვერშოკამდე დახერხილი მასალა, დასახერხი—კი 65.000 ვერშოკი. ამ საქმეში ერობას სულ დაუხარჯავს 996 868 მან., საწყობებში მდებარე ქონების ღირებულება უდრის 8—9 მილიონ მანეთს. იმ საშუალებათა ამოწურვის შემდეგ, რომელიც არის ერობის განკარგულებაში ხე-ტყის წარმოება მისცემს მას 100 მილიონ მან. წმინდა მოგებას. განზრახულია აგრეთვე მექანიკური სახელოსნოს მოწყობა და სხვა და სხვა.

ვ. მარტვილელი.

(შემდეგი იქნება)

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების სხდომაზე 1920 წლის აპრილის 2-ს სხდომაზე განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

1. საქმე ილია სტეფანეს ძის ფურცელაძისა მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკთან ზარალის ანაზღაურების თაობაზე.
2. საქმე იური სტეფანის ძის გაბაროვისა. ნატალია ქინქლაძისა. ალექსანდრე, გიორგი და ლეონ ხატისოვების და ნინო ალიბეგოვისა ნიკოლოზ შენგელია და გიორგი ოდიაშვილთან ხელშეკრულობის გაბათილების თაობაზე.
3. საქმე დემეტრე ფარსადანოვისა ნინო ფილაევსთან 28 000 მ. თაობაზე.
4. საქმე კონსტანტინე სტეფანეს ძე რომანენკოსი, ნიკოლოზ სტეფანეს ძე რომანენკოსთან და მიხეილ ზაქარიას ძე სიამაშვილის მიმართ 1200 მ. თაობაზე.
5. საქმე მავრი სპირიდონის ძე ჩხეიძისა ივანე სიმონისძე მეჯვარიანთან მამულის თაობაზე.
6. საქმე სიმონ არქიპის ძე ცორცოლაძისა, ეკატერინე დიმიტრის ასულ ცორცოლიანთან ბინის დაცლისა და ბინის ქირის თაობაზე.

ს.-დ პარტიაში

თელავი. 28 მარტი მეტად ღირსშესანიშნავი დღეთ უნდა ჩაითვალოს თელავის მაზრის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამ დღეს იყო მოწვეული თელავის მაზრის ს. დ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია, დელეგატები მთელი მაზრიდან მოვიდნენ. სულ 41 წარმომადგენელი დაესწრო. ამავე დღეს იყო დანიშნული თელავის საოლქო შტაბის არჩევნებიც. გვარდიელების წარმომადგენელნი მოვიდნენ თიანეთისა და თელავის მაზრებიდან. პირველად ყრილობა გვარდიელების და ორგანიზაციების წარმომადგენლებისა ერთად გაიხსნა ს. მეჯვარიანის თავმჯდომარეობით. აქ მიესალმნენ ყრილობას და [illegible] საერთო ძალით ხელი ხელ ჩაკიდებული სიარული საქართველოს რესპუბლიკის განსამტკიცებლად ს. მეჯვარიანმა ვ. პუპუნურიძემ კ. სეხნიაშვილმა და ამხ. ე. სირბილაძემ. ამხ. ე. სირბილაძემ გააკეთა ფრიად საინტერესო მოხსენება საერთაშორისო პოლიტიკურ მომენტის შესახებ, ის შეეხო ყოველ მხრივ [illegible] საკითხებს, რომლითაც დიდად ნასიამოვნები დარჩა შეერთებული ყრილობა. გვარდიის წარმომადგენლები წავიდნენ თავის ადგილას საკუთარი საქმეების გასაკეთებლად, ხოლო მაზრის ს. დ. კონფერენციის წარმომადგენლებმა განაგრძეს ცალკე კრების გასაგრძელებლად, დღიურ წესრიგში იყო შემდეგი: 1) მოხსენება ადგილებიდან, 2) მოხსენება ცენტრიდან, 3) არჩევნები სამაზრო კომიტეტისა და პრეზიდიუმისა. მოხსენებებიდან ირკვევა, რომ სოფლის ორგანიზაციები კავშირდებიან, იწყებენ პარტიულ მუშაობას. მოხსენება ცენტრიდან, გ. ი. თელავიძის, არკვევს პარტიული მუშაობის საჭიროებას, რომლის ხელმძღვანელობით ეს სამაზრო კონფერენცია იყო მოწვეული და გამოსთქვა მან იმედს, რომ ამიერიდან სამაზრო კომიტეტი ჩაუდგება პარტიულ საქმეს სათავეში, რომლის ძალღონით პარტიული მუშაობა უნდა გაძლიერდეს. შემდეგ ხდება არჩევნები სამაზრო კომიტეტისა, ამორჩეულ იქნა კომიტეტში 15 კაცი. კრება იხურება ს. მეჯვარიანის სიტყვით რომელიც მოუწოდებს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი განმტკიცებისა და სოციალიზმისაკენ მისწრაფებას. ამავე დღეს საღამოს იკრიბება ახალი სამაზრო კომიტეტი, ის ირჩევს 7 კაცისაგან შემდგარ პრეზიდიუმს, შემდეგი პირებისაგან: 1) ს. მეჯვარიანი, 2) კ. სეხნიაშვილი, 3) ს. ჯაჯიშვილი, 4) ლ. კიმოთიძე, 5) მერაბიშვილი, 6) ლეკიშვილი, 7) გ. რაზმაძიაშვილი.

კომიტეტის მდივანი ამ. ჩიტაშვილი.

მუშათა შორის

თფილისის საქონლის სადგური. 28 მარტს თფილისის საქონლის სადგურში მოხდა მუშების და მოსამსახურეების საზოგადო კრება. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. გ. ხურიძე. მოხსენებას აკეთებს თფილისის საქონლის სადგურის კავშირების თავმჯდომარე ამხ. ლ. ქელენტი. აცნობს დამსწრეთ პროფესიონალურ კავშირის მნიშვნელობას, მის ფუნქციებს და წევრთა მოვალეობას. მომხსენებელი შეეხო კოლექტიურ ხელშეკრულების და სამორიგებო კასის საკითხებს. ამხ. ქელენტის მოხსენებით კრება ძლიერ კმაყოფილი დარჩა. მოხსენების შემდეგ დღის წესრიგში დასმულ იქნა შემდეგი კითხვები: 1) კოლექტიური ხელშეკრულება; 2) ადგილობრივი კასის ყოფილი გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) კასის საწევრო ფულის გადიდება; 4) სესხის გადიდება. პირველი საკითხის შესახებ მოისმინა რა კრებამ ამხ. ლ. ქელენტის მოხსენება ადგენს დაევალოს კავშირს დაჩქარებით მოაგვაროს კოლექტიურ ხელშეკრულების საკითხი. მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ადგილობრივ ურთიერთ შორის დამხმარე კასის თავმჯდომარე ამხ. გ. დოლიძემ და კასის სარევიზიო კომისიის წევრმა ამხ. თ. არიშვილმა. მოისმინა რა შეერთებულმა კრებამ მოხსენებები, დაადგინა გადიდებულ იქნას საწევრო გადასახადი. მეოთხე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა თვითეულ კავშირის წევრს უფლება აქვს სესხის სახით აიღოს კასიდან 500 მან. და თუ წევრს დაატყდა თავს მოულოდნელი უბედურება მიეცეს სესხის სახით 1000 მ. კასის გამგეობაში არჩეულ იქნენ: გიორგი ღლონტი, თედორე არიშვილი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: გ. ხურიძე, შ. ინწკირველი, ა. გორდელაძე.

ქრისტეფორაშვილი.

ნიხრი

დამტკიცებული თფილისის ქალაქის თვითმართველობის მიერ მარტის 26, 1920 წ.

ძროხის ხორცი გირვანქა 20 მან. ბითუმად 780 მან., ტვინი 12 მან. 50 კაპ., ენა 18 მან. 50 კაპ., თავის ხორცი უძვლო 8 მან, თირკმლები 7 მ. 50 კ., ბითუმად 6 მ. 60 კაპ., გული 8 მან 30 კ., ბითუმად 7 მ. 85 კ., ფილტვები 7 მ. 30 კ., ნაწლავები 6 მ., ფილე 25 მან., კამეჩის ხორცი 15 მან, ბითუმად 580 მან., ცხვრის ხორცი 22 მან., ბითუმად 860 მ., (შენიშვნა: აკრძალულია თავის ხორცის დაწონვა, სხვა ნაწილები შეიძლება დააწონონ) ღორის ხორცი უძვლო 18 მან., ტყავიანი 20 მან., ზომარშული 21 მ., თავ. ხორცი 9 მ., ვეჩინა გვერდის 45 მ., გირ. ფუკანა ბარკალი 55 მ., მოხარშული ვეჩინა კარგი ხარისხის 65 მან. გირვანქა, დაბალი ხარისხის 60 მ., ქონიდამწნილი 48 მ., გირვანქა, დუმა 50 მან., ღორის ქონი 50 მან., დამწნილი ღორის ქონი 60 მან., გალამანჯარი 70 მან.. ტეხნიკური ქონი იყოფა სამ ხარისხად: 1 ხარისხის 1000 მან. ფუთი, 2 ხარისხის 500 მან,, 3 ხარისხის 200 მან., თევზეულობა: სუდაკი მარილიანი 9 მ. გირვანქა, [illegible] 12 მან., კეფალი 9 მ. ზუთხი 30 მან., ლოქო 15 მან.; ლობიო წითელი 10 მან., გურული 11 მან; ხახვი 8 მან. გირ. კარტოფილი 14 მან., კვერცხი ცალი 4 მ, რძე 8 მან, დაფქვილი მარილი 3 მან., დაუფქველი 2 მან. 50 კაპ., ნახშირი ბითუმად 55 მ. ფუთი, ნაფოტი 60 მ., ფ. ნიხრი უეჭველად გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილზე. ნიხრის დამრღვევი სასამართლოში მიცემული იქნება.

პროვინცია

ქუთაისი. (რაჭა) 14 მარტს აქ შესდგა ადგილობრივ კოოპერატივ „ხანა“-ს წევრთა წლიური კრება. განსახილველი იყო: 1) წლიური ანგარიში,—2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) სარევიზიო კომისიის და გამგეობის ხელახალი არჩევნები. წლიური ანგარიში კრებას გააცნო გამგეობის წევრმა ვანო კაციტაძემ. აქტივი—კასაში ნაღდი ფული 8554 მან. 59 კაპ. საქონელი მაღაზიაში 33171 მან. 90 კაპ. ქონება აქვს კოოპერატივს 2348 მან. მეტ აქვს შეტანილი სიმინდის საყიდლათ ერობაში 1680 მან. ქუთაისის კოოპერატივთა რაიონულ კავშირში საწევროდ აქვს შეტანილი 3000 მანეთი.

პასივი: პაის ფული და საწევრო გადასახადი 14520 მანეთი, წლის კოოპერ. გამოტანილი მოგება 1095 მან., ვალი 998½ მანეთი. 1918 წლის მოგება 7990 მანეთი. ამნაირად 1919 წლის მოგება რჩება 15156 მან. 49 კაპ. ეს ანგარიში სარევიზიო კომისიამაც დაადასტურა, მხოლოდ აღნიშნა ზოგიერთი ნაკლი გამგეობის მოქმედებაში. ძველმა გამგეობამ ითხოვა გამოცვლა—რადგანაც სხვადასხვა მიზეზების გამო კოოპერატივს ვეღარ ვემსახურებით სათანადოთ. კრებამ, გარდა ერთისა (ლადო ბიჭიაშვილი) გაანთავისუფლა და მათ მაგივრად აირჩია ორი წევრი: ნიკიტა ლაშხი და სოლომონ სუთიძე. სარევიზიო კომისია ისევ ძველი შემადგენლობით დარჩა. ერთ გამგეობის წევრს დაენიშნა ჯილდო, რომელმაც საქონელი უნდა მიაწოდოს კოოპერატივს.

ადგილობრივ ორ კლასიან სასწავლებლის შენობაში დაარსდა წიგნთ საცავ სამკითხველო. იმედია აქედან წასული ახალგაზრდობა არ მოაკლებს მზრუნველობას და ახლად გახსნილ სამკითხველოს აღმოუჩენენ დახმარებას.

როგორც მთელ რაჭაში, ისე აქაც დაარსდა გორის დამხმარე კომიტეტი და გროვდება გაჭირვებულ გორელთათვის შემოწირულება. ხალხი თანაგრძნობით ეკიდება მოწოდებას.

ვალიკო დონაძე.

ახალციხე. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ პირველად 21 მარტს მოხდა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები. საარჩევნო ბრძოლას აწარმოებდა ხუთი პარტია. მაგრამ ამათში ჩვენი ყურადღება შეიძლება მივაპყროთ მხოლოდ ორ პარტიის სოციალ-დემოკრატებს და დაშნაკებს.

ყველამ კარგათ იცის, განსაკუთრებით ახალციხელებმა, რომ დღემდე ქალაქის ბატონ-პატრონი იყვნენ დაშნაკელები, რომლებსაც არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ საერთოდ ქალაქის მცხოვრებთა ინტერესების დასაცავათ, მაგრამ სომხის ხალხი იმდენად დაბრმავებულია დაშნაკელების ნაციონალისტური ვაჟბაცობით, რომ ამ არჩევნებშიც დაშნაკელებს მისცეს ხმა და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ჯერ კიდევ დიდი კულტურული მუშაობაა საჭირო, რომ დაშნაკელების ბრმად მიმდევარმა ხალხმა გაიგოს, თუ ვინ არის სომხის ხალხის და საერთოდ ყველა ერის დემოკრატიის ინტერესების დამცველი...

ახალციხეში 1918 წლის 27 დეკემბერს დაარსდა ს. დ. ორგანიზაცია და ამ ერთი წლის განმავლობაში, თამამად შეიძლება ითქვას, ყველა ნაციონალისტური პარტიები, გარდა დაშნაკელებისა გააქრო მისმა მიზან შეწონილმა მუშაობამ.

თუ წინათ სოციალ-დემოკრატებს სამი ხმოსანი ჰყავდა საბჭოში, დღეს სამჯერ მეტი გაიყვანა. და რომ მომავლში სომეხი ამხანაგები მეტ [illegible] და ახალციხეში, დარწმუნებული ვართ, თუ არ დავამარცხებდით დაშნაკელებს, გაუნახევრებდით მაინც ხმებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ადგილობრივი სომეხი ამხანაგები ცოდნისა და შეძლების მიხედვით მუშაობდნენ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ „მინდორს [illegible] შენდობა არა აქვსო“. ამიტომ საგრძნობი ნაწილი ხალხისა ვერ შემოიკრიბეს თავის გარშემო. მომავალში, თუ ამ შეცდომას მიიღებენ ამხ. მხედველობაში, დარწმუნებული ვართ, საგრძნობლათ გაიზრდება ჩვენი გავლენა სომხის დემოკრატიაში...

ამომრჩევლები იყვნენ 6024, მონაწილეობა მიიღო 4181. ხმები განაწილდა შემდეგ სიებზე: №1 მიიღო 1088 ხმა, № 2—73 ხმა, № 3—60 ხმა, № 4—2736 ხმა, № 5—224 ხმა, ამრიგად სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს 9 ხმოსანი, დაშნაკელებმა 23, სომხების სახალხო პარტიამ 1, სომხების [illegible] 1, ფედერალისტებმა 2.

დაშნაკელებმა იმდენად აამოძრავეს თავისი ორგანიზაციული აპარატი, რომ მთელი ხალხი დილიდან საღამომდე რიგში იდგა.

დაშნაკელების მოულოდნელათ ყუთთან მისვლამ, სხვა პარტიების რა მოგახსენოთ და ჩვენ კი დაგვიკარგა რამდენიმე ასეული ხმა, განსაკუთრებით ებრაელების უბანში, რადგანაც დილიდან დაღამებამდე ვეღარ მოუწია ხმის მიცემა.

ი. ვაჭიაშვილი.

წერ. რედაქციის მიმართ

(ღია წერილი ლეჩხუმის მოქალაქე ანდუკო დავითის ძე გელოვანს).

მე და თქვენ გვყავდა ლეჩხუმის მაზრის სოფ. დეკში საერთო მოყვარე-ნათესავი თავადი სამსონ მალხაზის ძე ასათიანი (ჩემი სიძე), რომელიც ამ წლის მიწურულში გარდაიცვალა. იგი ერთი უშვილო ადამიანი იყო და როგორც ასეთმა ახალი მოძრაობის ზეგავლენით ამ ბოლო დროს გადაწყვიტა ნაწილი თავისი საუკეთესო დეკნის მამულისა უსიდერძოდ ლეჩხუმის სამაზრო ერობისათვის მის სახელზე საჭიროებაზე მოსახმარად.

განსვენებულმა ამ კეთილი განზრახვის განადგება, მისი ქაღალდზე გადატანა და შესრულება ჩემის საშუალებით (ჩემი მოუცლელობით დეკნში ასვლა ვეღარ მოვახერხე) მან სიცოცხლეში ვეღარ მოასწრო. რაკი მისი უკანასკნელი სურვილი ზეპირ ნათქვამი იყო, მისი გარდაცვალების მაშინვე ვაცნობე იმ ხანებში ქუთაისში ჩამოსულ ლეჩხუმის ერობის თავმჯდომარე ალექსანდრე მთიაშვილს, რომელმაც მყისვე მოახდინა ფიცხელი განკარგულება დეკნში, რომ სამსონ ასათიანისეული უძრავ მოძრავ ქონებას არავინ დაპატრონებოდა.

და რაკი ამ დროს დეკნში მუშაობდა მიწების ჩამომრთმევი მთავრობის კომისია ინჟინერ ივ. მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით, ერობის განკარგულებით მან განსვენებულ თავადის მამულის გაზომვა დაიჭირა, რათა იგი სამეთიანთ ჩაებარებინა ერობისათვის სახელმწიფო ფონდში გადასარიცხათ. ზომით იგი 11 დღეს. გამოირკვა, თუმცა განსვენებულისაგან გამოვიდა მთელი მისი მამული: ეზო-გარემო, სახნავ-სათესი, სათიბები და ტყიან მინდვრიანი ადგილები 50—60 ქცევა მეტ ბაო.

ამნაირად ერთ ნორმაზე დამდგარი ხსენებული მამული უკვე ფონდში გადასული მიიღო ლეჩხუმის ერობამ, რომელმაც ხაზი რა იგი თავის ადმინისტრაციის საშუალებით განსვენებულ სამსონის ქვრივს მარიამ ასათიანისას მოსავლელათ და სასახლეთ მისცა. ეს მამული, გარდა ჭაურმე ალაგებისა და მილნისა ახლანდელ ფასებით 4—500000 მან. ფასდება და ეჭვი არაა ლეჩხუმის ნათესობაც მეტად დაუტრიალდა მას.

უშვილძირო, სრულიად მარტოხელი ქვრივი განსვენებულისა ავერ მესამე თვეა უვლის და პატრონობს სახელმწიფო ფონდში გადასულ თავის ქმრისეულ მამულს და მით თავს ირჩენს. დღეს კი ამ შეჭირვებულ მძიმე ზამთარში თქვენ, ბ. ანდუკო, გესარგებლიათ ძველი კანონით, ნაჩქარევათ აგიღიათ განსვენებულის ძმის ავადმყოფ ოთარისაგან ამჟღანება, წამოგიყვანიათ ცაგერიდან ასეთ ცუდ ამინდში სასამართლოს ბოქაული, ხელახლა აგიწერიათ ყოველივე უძრავ მოძრავი ქონება უკვე ფონდში გადასულ მამულისა.

ნუ თუ თქვენი მეტად მოურიდებელი და აჩქარებული საქციელი მოსაწონი და გასამართლებელია დღევანდელ საზოგადოებრივ-სოციალური თვალსაზრისით?!. მე მგონი იგი თქვენ, როგორც თავისუფალ განახლებულ საქართველოს მოქალაქეს, არ უნდა ჩაგედინათ და თუ ძველებურ თავადიშვილურ ნათესაური გრძნობით აჩქარდით ამ საქმეში, ვფიქრობ, მაზედ გონიერი ჩაკვირვებით და აზრიანი განსჯით, თქვენ საამდროოთ უსამართლო ყოველგვარ პრეტენზიებზე უარს განაცხადებთ. ეს მით უფრო უნდა მოხდეს, რომ მეორე მხრით არავითარი ამის მსგავსი წინ არ გიდგათ და პირველყოფილ დროიდანვე ამ სახელით, საერთო კეთილდღეობის სახელმწიფო ფონდში გადარიცხვას და ერობისათვის მის დასაკუთრებას ფორმალურადაც ხელს არ შეუშლით...

ხოლო ლეჩხუმის ერობამ კი საჭიროა ახლავე მიიღოს შესაფერისი ზომები ხელოვნურათ სადავოთ გამხდარ ამ მამულის ხელახლა ჩაბარებისათვის და გამოიმუშაოს მისით სარგებლობის პირობები განსვენებულის ქვრივთან შეთანხმებით. ამის დაჩქარება კი მით უფრო საჭიროა, რომ უკვე მალე დადგება სოფლათ მამულის დასამუშავებელი ამინდი და ადგილობრივი გლეხებიც კარზე არიან მომდგარნი დასამუშავებლათ საგნებისა და ვენახების.

დავსძენ ერთსაც. ადგილობრივ გლეხების გამოკითხვითაც ვიგებ, რომ მათ თქვენი თუ ოთარის (განსვენებულის ძმის, რომელსაც ნორმაზე მეტიც აქვს მიზომილი სამმა, საერთო მამულიდან) პრეტენზიები მიუღებლათ და უსამართლოთ მიაჩნიათ და აღელვებულიც არიან თქვენი საქციელით.

ქუთაისის მოქალაქე ისიდორე გრიგოლის ძე კვიციძე.

27 თებერვალი.

განცხადებანი

20,000 მან. იყიდება 56 ცალი „პარტა“.

მისამართი: პლეხანოვის პრ. № 25, შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან. მახაიძის ბინა. 9—4 ს. (1126 3 - 3)

ექიმი ა. ლევენშვილი

შინაგ. და ნერვიულ სნეულებანი. ექიმობს და გამოიკვლევს [illegible] როგორც საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, [illegible] და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიიღებს დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კოლოდეის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი

პ. შ. მართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606“ და 914 შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის ხამმართველის პირდაპირ. (თ. 546)

ექიმი

დოქ. კონსტ. ძე ყრიმელი

([illegible])

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52. (თ. 581)

ექიმი

ნ. ლ. ცერიაშვილი

იღებს შინაგან, საშვილო და ქალურ სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—18. 119—თ.)

ელექტრო მედიცინისა დოქ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკების

ვ. ზ. მეზრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, შლდქისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. [illegible] ჰიდროთერაპია. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. მეტეხის ქ. № 23, ტელეფ. 7—32. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს აქვს შეღავათი. (თ. 686)

ექიმი ზ. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი ა. დ. ჰეჯელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვე“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28 (154—თ.)

კერძო სამკურნალო

ქ. ე. ვ. მძინარიშვილისა

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კირიჩნ. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87 მიიღება ყოველგვარ სნეულებიან ავადმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. უსახსროებისათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.

ექიმები

ი. კ. ახაკულია—შინაგან ავადმყ.
დ. ვ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავადმყ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგ. ავადმყ. და მიკრო—ხიმ. ანალიზი.
ა. გ. მაჭავარიანი—ქირურგ. ავადმყ.
ე. ვ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ს. ორბელიანი—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. ვ. ცხვედაძე—თვალის ავადმყ.
ე. დ. [illegible]—ქალის ავადმყ. და საბებიო.

სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანს ქვეშ შეშხაპუნება, ყვავილის აცრა, „606“ და „914“ შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის. შარდის, განა-ვალის და სხვ. (თ. 009)

ექიმი ქალი

მ. მ. აღშეევი

წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველდღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად საშვილო ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი ლ. ა. ხარაძე,

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ბესარიონიშვილის ქუჩა № 37, [illegible] ახლოს.

[illegible] სტამბა ვ. [illegible], გაზეთის შესახვევი № 1.